გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 73
(11 427)

15 – 18 სექტემბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## დღეს, სიდნეიში საზეიმოდ გაიხსნება ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები

## ვანო ზოდელავამ პირობა ავანსად შეასრულა

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ ჩვენს ოლიმპიელებს საჯაროდ აღუთქვა, რომ გამარჯვებულებს ბინას გადასცემდა საჩუქრად თბილისში.

სიდნეიში გამგზავრების წინ ვ. ზოდელავა შეხვდა ქართველ ძალოსანს გიორგი ასანიძეს და წინასწარ უკვე გამოუყო ოროთახიანი ბინა საჩუქრად ვაჟა-ფშაველას VI კვარტლის II კორპუსში. ოლიმპიელმა ნახა ბინა და კმაყოფილი დარჩა. ბინას გააჩნია მიშენების პერსპექტივა.



## ფეხბურთელებმა თამაშების გახსნამდე დაიწყეს

ნამდვილად ასეა, ოლიმპიადის გახსნის ოფიციალური ცერემონია დღეს გაიმართება, მაგრამ ფეხბურთში (ვაჟები, ქალები) ავსტრალიის ოთხ ქალაქში უკვე ორი დღეა, ჯგუფური ტურნირები გაჩაღდა.

ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშების სპორტული პროგრამა ქალებმა გახსნეს – კანბერასა და მელბურნში ერთდროულად დაიწყო (სტატისტიკოსების საყურადღებოდ – თბილისის დროით დილის 11 საათზე) „E" ჯგუფის მატჩები: ავსტრალია – გერმანია, შვედეთი – ბრაზილია. ტურნირის მასპინძლებმა 0-3 წააგეს გერმანელებთან, თუმცა მატჩის დასაწყისში დომინირებდნენ, გუნდის ფორვარდებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. თანდათან სტუმრებმა 1995 წლის მსოფლიო პირველობის ვიცე-ჩემპიონებმა ხელთ იგდეს უპირატესობა და გრინგსის, ვიგმანის და ლინგორის გოლების წყალობით „მშრალად" დაამარცხეს მეტოქე. ამავე ჯგუფში უსენსაციოდ დამთავრდა მეორე მატჩი: ბრაზილიელებმა პრეტინიას და კატიას გოლებით 2-0 სძლიეს შვედებს.

გუშინ ტურნირის მეორე დღეს, ამერიკელმა ქალებმა ნორვეგიელები დაამარცხეს 2-0, ნიგერიელებმა 1-3 წააგეს ჩინელებთან.

ვაჟთა ტურნირში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ნიგერიისა და ჰონდურასის შეხვედრა. ოლიმპიური ჩემპიონების, ნიგერიელების რიგებში მხოლოდ ორი „ძველი" ფეხბურთელი ვიხილეთ – ჩელსელი სელესტინ ბაბაიარო და პსჟ-ს ნახევარმცველი გუდვინ ოკპარა, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის: მატჩი ფრედ 3-3 დასრულდა. ამავე „A" ჯგუფში იტალიელებმა ტურნირის მასპინძლები დაამარცხეს ანგარიშით 1-0. გამარჯვების გოლი თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე პირლომ გაიტანა.

„C" ჯგუფშიც ერთი შეხვედრა ფრედ დასრულდა – ამერიკელმა ვაჟებმა ჩეხებთან 2-2 ითამაშეს. თავდაპირველად აშშ-ს ნაკრები დაწინაურდა ოლბრაიტის გოლის წყალობით, მერე ჩეხმა იანკულოვსკიმ ანგარიში გაათანაბრა, თუმცა, პირველი ტაიმის მიწურულს ვოლფმა კვლავ წინ გაიყვანა ამერიკელები. მეორე ტაიმში ჩეხმა დოშეკმა პენალტით შეხვედრას წერტილი დაუსვა.

ამავე ჯგუფში კამერუნმა ქუვეითი დაამარცხა 3-2. კამერუნელთან გოლები ალნუჯმა, მბომბამ



გაიტანეს, მათ ხელი შეუწყო ქუვეითელმა აბდულრაჰმანმა, რომელმაც ავტოგოლი „გაახერხა", ქუვეითელთაგან თავი გამოიჩინა ალმუტაირმა. ანგარიში კარგა ხანს 3-1 იყო კამერუნელთა სასარგებლოდ, მხოლოდ მატჩის ბოლოს იმავე აბდულრაჰმანმა ერთობ „გამოისყიდა" თავისი შეცდომა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

**გუშინ.** ვაჟთა ტურნირში ოთხი შეხვედრა შედგა: ბრაზილია – სლოვაკეთი 3-1, იაპონია – სამხრეთ აფრიკა 1-0, ესპანეთი – სამხრეთ კორეა 3-0, მაროკო – ჩილე 1-4.

„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე წუხელ ღამით ჩავიდა ავსტრალიას და შემდეგი ნომრიდან მკითხველს მივაწვდით მის რეპორტაჟებს უშუალოდ „ბრძოლის ველიდან".

## გუშინ ცნობილი გახდა, რომ...

### მუჰამედ ალიც ავსტრალიაშია

ოთხი წლის წინათ ატლანტაში, ოლიმპიური თამაშების ცეცხლი აანთო სახელგანთქმულმა ამერიკელმა მოკრივემ მუჰამედ ალიმ. ალი საპატიო სტუმრის სტატუსით სიდნეიშიც ჩავიდა და უქომაგებს თავის ქალიშვილ ლეილას, რომელიც ქალთა საჩვენებელ ბრძოლას გამართავს იქ. „მხოლოდ ერთი მსურს, რომ ჩემმა გოგონამ არ მიიღოს სერიოზული ტრავმა!" – თქვა ალიმ.

### ოლიმპიადის პირველი დანაკარგი

ორი აფრიკელი მოკრივე ვერ გამოვა სიდნეიში. ტრაგიკომიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა კონგოელი კაკონგა კაბინდე, რომელიც ოფიციალურ სამედიცინო შემოწმებაზე არ გამოცხადდა. რაც შეეხება განელ ჯემს ტონის, იგი შეჯიბრებიდან მოიხსნა სამედიცინო შემოწმების შემდეგ. დანაკარგია საჩოგბურთო ტურნირშიც: ტრავმის გამო ვერ გამოვა ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი და რუსი ანდრეი მედვედევი.

### ვოინოვი ავსტრალიის სასამართლოს წინაშე წარსდგება

დიახ, ნამდვილად ასეა, უზბეკეთის ოლიმპიური დელეგაციის წევრი, 45 წლის მწვრთნელი მძლეოსნობაში სერგეი ვოინოვი ამ დღეებში წარსდგება სასამართლოს წინაშე: იგი ამხილეს ქვეყანაში აკრძალული პრეპარატის – ზრდის ჰორმონის (ეიჩ-ჯი-ეიჩი) შეტანაში.

### მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, თბილისის კავშირის — „სპორტი ყველასათვის" პრეზიდენტს, ამავე სამმართველოს ყოფილ თავმჯდომარეს ***გივი ყირმელაშვილს.***

### მილოცვა

საქართველოს განათლების სამინისტროს აღზრდისა და სამხედრო მომზადების სამმართველო, ცენტრალური რესპუბლიკური ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლა, დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს და მთავარ სპეციალისტს თავისუფალ ჭიდაობაში ***ჯემალ ლორიას.***

## ეძღვნება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

1925 75 2000

## ვინ იყო ჩაიკოვსკი?..



ახალგაზრდა გულშემატკივრებს რომ შეეკითხოთ, ვინ იყო ჩაიკოვსკი, დარწმუნებული ვართ, ასიდან ასი გეტყვით: „დიდი რუსი კომპოზიტორი... პიოტრ ჩაიკოვსკი... ვიცი, ბორჯომშიც ისვენებდა ერთხელ!" აი ფეხბურთის ძველი მოყვარულები კი ასე გიპასუხებენ: „სლატკო ჩაიკოვსკი (ამაშიც დარწმუნებულნი ვართ იუგოსლავიის 1952 წლის „ვერცხლის" ოლიმპიური ნაკრების კაპიტანი იყო, ბელგრადის სახელგანთქმული გუნდის „პარტიზანის" სული და გული", იქვე, ცხადია, 1946 წლის 11 აგვისტოს ამ დაუვიწყარ მატჩსაც გაიხსენებენ, თბილისის „დინამომ" რომ ჩაატარა იუგოსლავიის ამ პოპულარულ კლუბთან.

„ზლატკო ჩაიკოვსკი – ვკითხულობთ ძველ, უკვე უნიკალურად ქცეულ პროგრამაში – ნახევარმცველი, ხორვატი, 23 წლის, სიმაღლე 160 სმ, წონა – 66 კგ, 20 საერთაშორისო მატჩის მონაწილე, ერთ-ერთი უძლიერესი იუგოსლაველი ფეხბურთელი".

მისი სახელგანთქმული მოგვარისა რა მოგახსენოთ, აი ზლატკო ჩაიკოვსკი კი ორჯერ იყო თბილისში – 1946 წლის აგვისტოსა და ზუსტად 35 წლის შემდეგ – 1981 წლის სექტემბერში, როდესაც თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ევროპის თასების თასის პირველი მატჩი თბილისელ დინამოელთა და ავსტრიის „გრაცერს" შორის. შეგახსენებთ, რომ თამაში ჩვენმა გუნდმა მოიგო 2-0 (ბურთები გაიტანეს ვაჟა ჟვანიამ და რამაზ შენგელიამ) საპასუხო მატჩი ქალაქ გრაცერში 30 სექტემბერს დამთავრდა ფრედ – 2-2 (ჩვენი ორივე გოლის ავტორი შენგელია იყო).

„გრაცერის" კლუბის უფროს მწვრთნელს, 58 წლის ზლატკო ჩაიკოვსკის თბილისის მატჩის (იგი 16 სექტემბერს გაიმართა) წინა დღეს, ავსტრიელ ფეხბურთელთა ვარჯიშზე, ჩვენს სტადიონზე გულთბილად შეხვდნენ მისი ძველი მეტოქეები და მეგობრები – ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, ვიქტორ ბერეჟნოი და გიორგი ანთაძე, რა თქმა უნდა, ვეტერანებმა ბევრი რამ გაიხსენეს იმ ძველი მატჩიდან, მერე ერთად ახალი სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ძველი მეგობრები 35 წლის შემდეგ (მარცხნიდან): ბორის პაიჭაძე, ზლატკო ჩაიკოვსკი, გიორგი ანთაძე, ვიქტორ ბერეჟნოი. კადრში არ არის გრიგოლ გაგუა.

თბილისის „დინამოს" გუნდის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალა იხილეთ მე-5 გვერდზე.

Sydney 2000

# ასპარეზობები და დღეები

(ნომრიდან ნომრამდე)

**15 სექტემბერი, პარასკევი**
12.00-16.00 თამაშების გახსნა
**16 სექტემბერი, შაბათი**
**(გათამაშდება მედლების 13 კომპლექტი)**

**ბადმინტონი**
8.00-11.00
ერთეულთა თანრიგი. ქალები. 1/32 ფინალი
მიქსტი. 1/16 ფინალი
13.30-16.30
წყვილთა თანრიგი. ვაჟები. 1/16 ფინალი
მიქსტი. 1/16

**კალათბურთი**
ჯგუფური ტურნირები
**ქალები**
**A ჯგუფი**
5.30 ბრაზილია-სლოვაკეთი
8.30 საფრანგეთი-სენეგალი
12.30 კანადა-ავსტრალია
**B ჯგუფი**
3.30 პოლონეთი-ახალი ზელანდია
13.30 კუბა-რუსეთი
15.30 კორეა-აშშ

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი)**
**შესარჩევი შეხვედრები ჯგუფებში**
**ქალები:** 3.00-6.30, 8.30-12.00

**კრივი**
43 და 67 კგ წონითი კატეგორიები:
პირველი წრე. 9.00-12.00, 13.30-16.30

**ველოტრეკი**
12.00-16.00
**ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით. ვაჟები.**
საკვალიფიკაციო რბოლა. 1/2 ფინალი
გიტი 1000 მ. ვაჟები. ფინალი
გიტი 500 მ. ქალები. ფინალი

**ტრიატლონი**
**ქალები.** 4.00-9.00

**წყალბურთი**
**წინასწარი შეხვედრები. ქალები**
9.00 ყაზახეთი-ავსტრალია
12.00 კანადა-რუსეთი
13.15 ჰოლანდია-აშშ

**ფრენბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ქალები**
**A ჯგუფი**
6.30 ბრაზილია-კენია
8.30 ხორვატია-ავსტრალია
14.30 ჩინეთი-აშშ

**B ჯგუფი**
4.00 გერმანია-კუბა
6.00 პერუ-რუსეთი
12.30 კორეა-იტალია

**ხელბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.**
**A ჯგუფი**
3.30 გერმანია-კუბა
8.30 იუგოსლავია-კორეა
13.30 რუსეთი-ეგვიპტე
**B ჯგუფი**
5.30 საფრანგეთი-სლოვენია
12.30 ესპანეთი-ტუნისი
15.30 შვედეთი-ავსტრალია

**სპორტული ტანვარჯიში**
**გუნდური შეჯიბრება. ვაჟები.**
4.30-9.00 I ცვლა
9.00-11.30 II ცვლა
13.30-16.00 III ცვლა.

**ძიუდო**
**წონითი კატეგორიები:**
**60 კგ (ვაჟები), 48 კგ (ქალები)**
9.00-12.30

**ცხენოსნობა**
**სამჭიდი. გუნდური შეჯიბრება.**
3.30-11.00

**ცურვა**
400 მ კომპლექსი. ქალები.
400 მ თ/ს. ვაჟები.
100 მ. ბატერფლაი. ქალები.
100 მ. ბრასი. ვაჟები.
4X100 მ თ/ს. ქალები
4X100 მ თ/ს. ვაჟები.
წინასწარი გაცურვები 4.00-6.00
1/2 ფინალი და ფინალი 11.00-12.50

**ტყვიის სროლა**
3.00-9.30
პნევმატური შაშხანა. ქალები
პნევმატური პისტოლეტი. ვაჟები.
საკვალიფიკაციო შეჯიბრება.
**ფინალები**
სატრანშეო სტენდი. ვაჟები:
საკვალიფიკაციო შეჯიბრება.

**მაგიდის ჩოგბურთი**
**წყვილთა თანრიგი**
ვაჟები, ქალები
4.00-17.00

**ძალოსნობა**
**ვაჟები. 56 კგ წონითი კატეგორია.**
8.30-15.00
ფინალი

**ფარიკაობა**
**დაშნა. ვაჟები.**
**პირადი შეჯიბრება.**
3.30-9.30

წინასწარი შეჯიბრება
11.30-14.00
ნახევარფინალები. შეხვედრა მესამე ადგილისათვის.
ფინალი.

**ფეხბურთი**
**ჯგუფური ტურნირები**
**A ჯგუფი**
**ვაჟები**
12.30 იტალია-გონდურასი. ადელაიდა.
14.00 ავსტრალია-ნიგერია. სიდნეი.
**C ჯგუფი**
13.00 ჩეხეთი-ქუვეითი. ბრისბეინი.
14.00 აშშ-კამერუნი. კანბერა.
**ქალები**
**E ჯგუფი**
11.30 ავსტრალია-შვედეთი. სიდნეი.
11.00 გერმანია-ბრაზილია. კანბერა.

**ბალახის ჰოკეი**
**ჯგუფური ტურნირები**
**ქალები**
**A ჯგუფი.**
2.30 კორეა-არგენტინა.
**B ჯგუფი**
4.30 გერმანია-ახალი ზელანდია.
**ვაჟები**
**A ჯგუფი**
7.30 ჰოლანდია-დიდი ბრიტანეთი
12.30 კანადა-პაკისტანი
14.30 მალაიზია-გერმანია
**B ჯგუფი**
9.30 ესპანეთი-კორეა

**17 სექტემბერი, კვირა**
**(გათამაშდება მედლების 14 კომპლექტი)**

**ბადმინტონი**
3.00-6.00
ერთეულთა თანრიგი. ქალები 1/16. ფინალი
ერთეულთა თანრიგი. ვაჟები 1/32 ფინალი
8.00-11.00
წყვილთა თანრიგი. ვაჟები. 1/8 ფინალი
ერთეულთა თანრიგი. ქალები. 1/16 ფინალი
13.30-16.30
ერთეულთა თანრიგი. ქალები. 1/16 ფინალი
მიქსტი. 1/8 ფინალი

**კალათბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.**
**A ჯგუფი**
3.30 საფრანგეთი-ახალი ზელანდია
5.30 იტალია-ლიტვა
15.30 ჩინეთი-აშშ

**B ჯგუფი**
8.30 იუგოსლავია-რუსეთი
10.30 კანადა-ავსტრალია
13.30 ესპანეთი-ანგოლა.

**კეტბურთი**
**წინასწარი ტურნირი**
5.30 კუბა-სამხრეთ აფრიკა
6.30 აშშ-იაპონია
12.30 იტალია-კორეა
13.30 ავსტრალია-ჰოლანდია

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი)**
**შესარჩევი შეხვედრები**
3.00-12.00 ვაჟები

**კრივი**
**48 და 60 კგ წონითი კატეგორიები:**
9.00-60 კგ წონითი კატეგორიები:
9.00-16.30 პირველი წრე

**ველოტრეკი**
12.00-14.00
ინდივიდუალური რბოლა გამოდევნებით. ქალები, ვაჟები.
ოლიმპიური სპრინტი. ვაჟები.

**წყალბურთი**
**წინასწარი ტურნირი. ქალები.**
9.00 ავსტრალია-რუსეთი
12.00 აშშ-კანადა.
13.15 ყაზახეთი-ჰოლანდია.

**ფრენბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.**
**A ჯგუფი**
4.00 ესპანეთი-ეგვიპტე
8.30 კუბა-ჰოლანდია
14.30 ავსტრალია-ბრაზილია
**B ჯგუფი**
6.00 კორეა-იტალია
6.30 რუსეთი-იუგოსლავია
12.30 აშშ-არგენტინა.

**ხელბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ქალები.**
**A ჯგუფი**
8.30 უნგრეთი-ანგოლა
15.30 კორეა-საფრანგეთი
**B ჯგუფი**
10.30 დანია-ნორვეგია
13.30 ავსტრალია-ბრაზილია

**სპორტული ტანვარჯიში**
4.00-15.45 გუნდური შეჯიბრება. ქალები.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**
2.30-6.00 წინასწარი შეჯიბრება

**ძიუდო**
9.00-16.00. 66 კგ (ვაჟები), 52 კგ (ქალები) წონითი კატეგორიები.

**ცხენოსნობა**
3.30-11.00 სამჭიდი. სამანეჟო სვლა.

**აფროსნობა**
6.00-11.00

**ცურვა**
4.00-15.45

**სოფტბოლი**
4.30-14.00

**ტყვიის სროლა**
3.00-8.00
პნევმატური პისტოლეტი. ქალები.
სატრანშეო სტენდი. ვაჟები.

**მშვილდოსნობა**
3.00-11.30 პირადი პირველობა. ქალები.

**მაგიდის ჩოგბურთი**
4.00-17.00 ერთეულთა თანრიგი. ვაჟები, ქალები.

**ტრიატლონი**
4.00-9.00 ვაჟები.

**ძალოსნობა.**
4.30-15.00 ვაჟები. 62 კგ წონითი კატეგორია.
ქალები. 48 კგ წონითი კატეგორია.

**ფარიკაობა**
6.30-14.00

**ფეხბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.**
**B ჯგუფი**
12.30 კორეა-მაროკო. ადელაიდა.
14.00 ესპანეთი-ჩილე. მელბურნი.
**D ჯგუფი**
13.00 ბრაზილია-სამხ. აფრიკა. ბრისბენი.
14.00 სლოვაკეთი-იაპონია. კანბერა.
**ჯგუფური ტურნირი. ქალები.**
**F ჯგუფი**
11.30 აშშ-ჩინეთი. მელბურნი.
11.30 ნორვეგია-ნიგერია. კანბერა.

**ბალახის ჰოკეი**
**ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.**
**B ჯგუფი**
2.30 ავსტრალია-პოლონეთი
4.30 არგენტინა-ინდოეთი
**ჯგუფური ტურნირი. ქალები.**
**A ჯგუფი**
9.30 ავსტრალია-დიდი ბრიტანეთი
11.30 კორეა-ესპანეთი
**B ჯგუფი**
9.30 ჰოლანდია-ჩინეთი
14.30 გერმანია-სამხ. აფრიკა.

**18 სექტემბერი, ორშაბათი**
**(გათამაშდება მედლების 15 კომპლექტი)**

**ბადმინტონი**
3.00-16.30

**კალათბურთი**
**ჯგუფური ტურნირი. ქალები.**
**A ჯგუფი**
3.30 სენეგალი-კანადა
13.30 სლოვაკეთი-საფრანგეთი
15.30 ავსტრალია-ბრაზილია
**B ჯგუფი**
5.30 რუსეთი-პოლონეთი
8.30 ახალი ზელანდია-კორეა
12.30 აშშ-კუბა

**კეტბურთი**
5.30-13.30 წინასწარი ტურნირი

**ბიჩ-ვოლეი (პლაჟის ფრენბურთი).**
5.30-13.30

**კრივი**
9.00-16.30 57 და 75 კგ წონითი კატეგორიები:

**ველოტრეკი**
4.00-6.50
სპრინტი. ვაჟები, ქალები.
გუნდური რბოლა გამოდევნებით. ვაჟები, ქალები.

**წყალბურთი**
წინასწარი ტურნირი. ქალები.

**ფრენბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ქალები.

**ხელბურთი**
ჯგუფური ტურნირი. ვაჟები.

**სპორტული ტანვარჯიში**
13.00-15.30 გუნდური შეჯიბრება. ვაჟები.

**აკადემიური ნიჩბოსნობა**
2.30-5.40

**სანიჩბოსნო სლალომი**
9.30-12.15

**ძიუდო**
9.00-11.00
73 კგ (ვაჟები), 57 კგ (ქალები) წონითი კატეგორიები.

**ცხენოსნობა**
3.30-9.50 სამჭიდი.

**აფროსნობა**
6.00-11.00

**ცურვა**
4.00-15.00

**სოფტბოლი**
4.30-16.00 წინასწარი ტურნირი.

**ტყვიის სროლა**
3.00-8.30 პნევმატური შაშხანა. ვაჟები.
სატრანშეო სტენდი. ქალები.

**მშვილდოსნობა**
3.00-11.30 პირადი პირველობა. ვაჟები.

**მაგიდის ჩოგბურთი**
4.00-17.00 ერთეულთა თანრიგი. ვაჟები, ქალები.
წყვილთა თანრიგი. ვაჟები, ქალები

**ძალოსნობა**
8.30-15.00 ქალები. 53 და 58 კგ წონითი კატეგორიები.

**ფარიკაობა**
3.30-14.50

**ბალახის ჰოკეი**
4.30-14.30 ჯგუფური ტურნირი. ვაჟები, ქალები.

## მედლების ათვლა ტატამზე დაიწყება

ზაფხულის XXVII ოლიმპიადა პირველ გამარჯვებულს შაბათს, 16 სექტემბერს დაასახელებს, როცა ოლიმპიურ ტატამზე 60 კგ წონის მოჭიდავეები დაამთავრებენ ბრძოლას (ძიუდოში თითოეულ წონით კატეგორიაში ყველაფერი ერთ დღეს ირკვევა). საქართველოს ამ სახეობაში კლასიკური და თავისუფალი სტილით მოჭიდავეებთან ერთად, საკმაოდ წარმომადგენლობითი გუნდი ჰყავს და მედლებსაც უპირველეს ყოვლისა მათგან ველით, ვინაიდან ძიუდოისტთა რიგებში არაერთი გამოცდილი ფალავანი, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი დაიცავს საქართველოს სპორტულ ღირსებას. მათი ოპონენტები, ალბათ, იაპონელებთან და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ფრანგი მოჭიდავეები იქნებიან, რომლებსაც სპეციალისტები ყველა წონაში მედლების პრეტენდენტებად მიიჩნევენ.

საფრანგეთის ვაჟთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით წარსდგება ოლიმპიურ ტურნირში: ერიკ დესპეზელი (60 კგ), ლარბი ბენბუდაუდი (66), ფერიდ ჰედერი (73), ჯამელ ბურა (81), ფრედერიკ დემონფოსკონი (90), სტეფან ტრენო (100), დავიდ დუნაიე (+100).

ქალთა ტურნირში იქნებიან: სარა ნიშილო-როსო (48), ლეტისია ტინიოლა (52), ბარბარა ჰერელი (57), სევერინ ვანდენჰენდე (63), კარინ რამბო (70), სელინ ლებრიუნი (78), კრისტინ კიკო (+78).

## ალაპის იმედით

**მსოფლიო ჩემპიონმა 5000 მეტრზე რბენაში სალაჰ ხისუმ (მაროკო) დიდი ყოყმანის შემდეგ მიიღო ოლიმპიადაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. საქმე ის არის, რომ მას ჯერ კიდევ მთლიანად არ მოურჩა ნატკენი მარცხენა ფეხი. ამის გამო, წლევანდელ შეჯიბრებებში დაბალი შედეგები ჰქონდა.**

**— სიდნეიში იმ იმედით მივდივარ, რომ ტკივილები გამივლის და შევძლებ ჩემი სპორტული მზადყოფნის გაუმჯობესებას. ყველაფერს გავაკეთებ, რომ პირველ სამეულში მოვხვდე 10 000 მეტრზე რბენაშიც.**

## საწოლებს დასჭირდათ... დაგრძელება.

ოლიმპიური სოფლის ოთახებში საწოლები მოკლე აღმოჩნდა ბევრი სპორტსმენისთვის. ისინი, 1,9 მეტრის სიგრძისაა, ეს კი არასაკმარისია 20 გერმანელი სპორტსმენისათვის, რომლებიც 2 მეტრზე მაღლები არიან. ამიტომ საწოლები 30 სანტიმეტრით დააგრძელეს.

## მფრინავები ყალბ სიგნალებს უფრთხიან

**მფრინავები, რომლებიც სიდნეის საერთაშორისო აეროპორტში მუშაობენ, გააფრთხილეს, რომ გახშირდება ყალბი რადიოსიგნალები.**

**როგორც ავიაპილოტების ავსტრალიურ ფედერაციაში განაცხადეს, უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ასეთი ინციდენტები და ამ პრობლემაზე ახლა ქვეყნის ფედერალური პოლიცია მუშაობს.**

**ელიან, რომ ნოემბრამდე სიდნეის აეროპორტით დაახლოებით 680 ათასი კაცი ისარგებლებს.**

## გერმანელი ექსპერტების აზრით

გერმანიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა პროგნოზი ოლიმპიადაზე თავისი გუნდის გამოსვლასთან დაკავშირებით.

კომიტეტის ხელმძღვანელობის აზრით, გერმანელებს, ავსტრალიისა და ჩინეთის ნაკრებებთან ერთად, აქვთ მესამე ადგილზე გამოსვლის რეალური შესაძლებლობა. ყველაზე მეტ მედალს, როგორც გერმანელი ექსპერტები მოელიან, მოიპოვებენ ამერიკელები, მეორე ადგილზე კი, მომზადებასთან დაკავშირებით პრობლემების მიუხედავად, რუსეთის ნაკრები გამოვა.

ატლანტის ოლიმპიადაზე გერმანელები მესამე ადგილზე იყვნენ აშშ-სა და რუსეთის ნაკრებების შემდეგ. ამერიკელებმა მაშინ მოიპოვეს 44 ოქროს, 32 ვერცხლისა და 25 ბრინჯაოს მედალი, რუსებმა შესაბამისად 26, 21 და 16, გერმანელებმა — 20, 18 და 17.

გერმანელებმა გამოყვეს საპრიზო ფონდი (6,5 მილიონი მარკა) თავიანთი ოლიმპიელებისთვის.

## პროგრამა საკმაოდ მოქნილია

**ამინდმა შეიძლება საკმაო კორექტივები შეიტანოს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, რადგან მეტეოროლოგები ხშირ შემთხვევაში ძლიერ ქარსა და წვიმას ელიან.**

**როგორც ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონ კოუტსმა განაცხადა, ოლიმპიადის ორგანიზატორები ბუნების ძალებთან ვერაფერს გააწყობენ, მაგრამ თამაშების პროგრამა ისეა შედგენილი, რომ სათანადო დროა გამოყოფილი იმ შემთხვევაში, თუკი ამა თუ იმ შეჯიბრების გადატანა გახდება საჭირო.**

## ბერძნების იმედები

ბერძენი სპორტსმენების რიცხვი ოლიმპიადაზე ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო მეტია, 148 სპორტსმენი 17 სახეობაში იასპარეზებს. მათი ძირითადი იმედები მძლეოსნობაზე, ტანვარჯიშზე, ცურვაზე, სინქრონულ ცურვაზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაზე, კრივზე, ძალოსნობაზე და სხვა სახეობებზე არის დამყარებული.

## გახსნის დღე თბილი და უღრუბლო იქნება

**— 15 სექტემბერს სიდნეიში თბილი და უღრუბლო ამინდი იქნება — განაცხადა სიდნეის მეტეოროლოგიური ბიუროს წარმომადგენელმა.**

**ეს მით უმეტეს სასიამოვნოა, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებს ძალიან აღელვებთ სექტემბერში სიდნეიში ამინდის საკითხი. ზოგიერთი მონაცემებით, მოსალოდნელია ქარი. ამ დღეებში ხომ ქარიშხალმა მატარებლის ელექტროხაზები დააზიანა. დაზიანდა ოლიმპიადის მთავარი პრეს-ცენტრის შენობაც.**

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

## ერთმანეთს ვენდოთ, ერთად დავდგეთ

მსაჯთა კორპუსის წარმომადგენელთა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე არბიტრებმა კოლექტიური განცხადება წაიკითხეს, სადაც გულისტკივილით აღნიშნეს თუ რა პრობლემებია მსაჯთა უსაფრთხოების საკითხში (განცხადებას სრულად გთავაზობთ). მათ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას ბოლო არ უჩანს. ჩვენც ხომ ადამიანები ვართო დაიჩივლეს მსაჯებმა. კამათის და აზრთა გაზიარების შემდეგ მასმედიისა და საფეხბურთო კლუბების წარმომადგენელთა თანდასწრებით უმაღლესი ლიგის მეხუთე ტურის მატჩების მთავარი არბიტრების კენჭისყრა მოეწყო.

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ მ. ჟორდანიას ასლი სფფ-ს აღმასკომს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების კოლექტიური

### განცხადება

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების მანძილზე (1990 წლიდან) მასში მონაწილე გუნდების რაოდენობა იცვლებოდა, ხოლო მსაჯობისა და მსაჯების უსაფრთხოების პრობლემა კი ყოველთვის აქტუალური იყო. სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა ზოგ რაიონებსა და ქალაქებში არ არის საკმარისი. მსაჯების უსაფრთხოება ხშირ შემთხვევაში არ არის გარანტირებული. ზოგან კი სამართალდამცავები თავად უსწორდებიან მსაჯებს, როგორც ეს მოხდა გასული XI ჩემპიონატისას ქ. ხობში.

ვინაიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ბრძოლა სატურნირო მდგომარეობისთვის პირველივე ტურიდან უკიდურესად დაიძაბა. უმაღლეს და პირველ ლიგაში ჯერ მხოლოდ 3-4 ტურია ჩატარებული და უკვე გვაქვს შემთხვევები მსაჯთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობენ როგორც ფეხბურთელები, მწვრთნელები, გულშემატკივრები, ასევე გუნდების პრეზიდენტებიც კი. კერძოდ:

ქ. წყალტუბოში „სამგურალისა“ და ზესტაფონის „მეტალურგს“ შორის მატჩისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მთავარ მსაჯს და ასისტენტს, რის გამოც თამაში ჩაიშალა. ქ. ქობულეთში თამაშის შუქურა — ლოკ.-2-გურია ლანჩხუთი, დამთავრების შემდეგ ფეხბურთელმა და გურიას ერთ-ერთმა მწვრთნელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ასისტენტს, ხოლო შუქურას მწვრთნელი გაძევებული იქნა მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის.

ქ. მცხეთაში ვიტ ჯორჯიასა და თბილისის „დინამოს“ მატჩის დაწყებამდე, მატჩის მიმდინარეობისას და დამთავრების შემდეგ ვიტ ჯორჯიას მესვეურებმა მსაჯთა ბრიგადას და მატჩის ინსპექტორს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. იყო მუქარა და შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა. პოლიციის თანამშრომლები კი არ ცდილობდნენ ინციდენტის აღკვეთას. ქ. გორში ადგილობრივ „დილასა“ და რუსთავის „გორდას“ მატჩის დამთავრების შემდეგ, ვაიგულშემატკივართა ბრბომ არ იკმარა მსაჯთა ბრიგადის გინება და შეურაცხყოფა და დაამტვირეს ავტოსადგომზე მდგარი მანქანა, რომელიც მატჩის არბიტრს ეკუთვნოდა.

თითქმის ყოველი მატჩისას ადგილი აქვს გუნდის მწვრთნელებისა და პრეზიდენტების მხრიდან მსაჯების მიმართ ენით აუწერელ ლანძღვა-გინებასა და მუქარას. ისინი თამაშის წაგებას უმეტეს შემთხვევაში „ცუდ მსაჯობას“ აბრალებენ, რაც მდგომარეობიდან თავის გამოყვანის საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ სფფ-ს ხელმძღვანელობა და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი ყოველმხრივ გვიჭერენ მხარს, მსაჯების მიმართ ზეწოლა, დაშინება და ფიზიკური შეურაცხყოფა კვლავ გრძელდება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ დამრღვევი გუნდების მიმართ, რომლებიც მსაჯებს მიაყენებენ შეურაცხყოფას და არ დაიცავენ მსაჯთა უსაფრთხოებას, გატარდეს მკაცრი ზომები. ჩვენი აზრით სიტუაციას მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს და გუნდების პასუხისმგებლობას გაზრდის მათთვის 5 ან სამი ქულის ჩამორთმევის წესის დამკვიდრება.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თუკი იყო გარკვეული შეცდომები მსაჯების მხრიდან, ეს წინასწარგანზრახული არ ყოფილა. ჩვენი მხრიდან ვიძლევით გარანტიას, რომ ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშებას მოვემსახურებით სრული პასუხისმგებლობით, ობიექტურად და კეთილსინდისიერად. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯები.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

**დოლიძე, თბილელი, ი. შალამბერიძე, ჯვარიძე, ანიაშვილი, კრიჭაშვილი, მაისურაძე, მეშკოვი, ფანიაშვილი, ხუციშვილი, ჩოჩიშვილი, ცირდავა, რაზმაძე, ორდინიძე, სილაგავა, მენთეშაშვილი, ა. შალამბერიძე, მალაღურაძე, შილაკაძე.**

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## V ტურის წინ

### ფავორიტები და აუტსაიდერები

კვირას და ორშაბათს უმაღლეს ლიგაში მორიგი ტურია. გასამართი მატჩებიდან უდავოდ გამოყოფას იმსახურებს მატჩი თბილისში, ორი „დინამოს“ პაექრობა ეროვნულ სტადიონზე გაიმართება, თბილისელები ბათუმელებს მიიღებენ. იყო დრო, როცა ამ ორი გუნდის ნებისმიერი შეხვედრა მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევდა. დღეს კი ორივეს უჭირს, ფეხბურთელთა საგრძნობმა მიგრაციამ და შემადგენლობის თითქმის სრულმა შეცვლამ თბილისურიც და ბათუმური „დინამოც“ არასტაბილურ გუნდებად აქცია. თუმცა სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე მატჩს დაძაბულობა მაინც არ მოაკლდება. ცხრილში გუნდები ერთმანეთის გვერდით დგანან, ბურთების შეფარდებით ოდნავი უპირატესობა ბათუმელთა მხარესაა.

თანაბარქულიანი გუნდების დაპირისპირებაა რუსთავში, „გორდა“ „მერანს“ უმასპინძლებს. რუსთაველები შინ უდანაკარგოდ ასპარეზობენ და თავისუფლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არც ეს შეხვედრა იქნება გამონაკლისი, „მერანისთვის“ ფრეც კარგია.

თანაბარ მეტოქეთა მატჩია მცხეთაშიც, წინა ტურში თითქმის სენსაციური გამარჯვების მომპოვებელი თსუ გორის „დილას“ დაუხვდება და ქულათა მარაგის შევსებას ეცდება, გორელები კი, ალბათ, გუნდებს შორის არსებულ ქულათა სხვაობის შენარჩუნებაზე იზრუნებენ.

სხვა წყვილებში ფავორიტთა გამოცნობა ძნელი არაა, „ტორპედო“ შინ თამაშობს და თუ სასწაული არ მოხდა, „კოლხეთთან“ არ უნდა გაუჭირდეს. „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ გასვლით მატჩებს ჩაატარებენ, მაგრამ მასპინძლების შემხედვარე, სტუმრების დამარცხება თითქმის გამორიცხულია. თუმცა, კატეგორიულ განცხადებებს თავი დავანებოთ და მატჩების მსვლელობას დაველოდოთ.

#### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | **4** | **4** | **0** | **0** | **7-0** | **12** |
| **ლოკომოტივი** | **4** | **3** | **0** | **1** | **12-2** | **9** |
| **ვიტ ჯორჯია** | **4** | **2** | **1** | **1** | **6-3** | **7** |
| **მერანი** | **4** | **2** | **1** | **1** | **7-5** | **7** |
| **დილა** | **4** | **2** | **1** | **1** | **5-6** | **7** |
| **გორდა** | **4** | **2** | **1** | **1** | **6-9** | **7** |
| დინამო (ბთ) | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| დინამო (თბ) | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-6 | 3 |
| სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| თსუ | 4 | 1 | 0 | 3 | 6-11 | 3 |
| იბერია | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

### ალექსანდრე მეშკოვი დროებით გადააყენეს

„ვიტ ჯორჯია“ – „დინამო“ თბილისის IV ტურის მატჩის მსაჯობისას დაშვებული შეცდომების გამო სამსაჯო – სადისციპლინო კოდექსის 3.1 პუნქტის საფუძველზე, ალექსანდრე მეშკოვს გამოეცხადა სასტიკი გაფრთხილება და იგი დროებით გადაყენებულია უმაღლესი ლიგის მატჩების მომსახურებიდან“ – ასეთი იყო 11 სექტემბერს გამართული სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტთან არსებული სადისციპლინო კომიტეტის წევრთა ვერდიქტი. ალექსანდრე მეშკოვი მატჩის მთავარი არბიტრი იყო. ერთ-ერთ ეპიზოდში „დინამოს“ კარში პენალტი არ დანიშნა, ამას სხვა შეცდომებიც დაერთო და...

### ლიტვასთან და იტალიასთან შესარჩევ მატჩებს პოლონელი და შვედი არბიტრები მოემსახურებიან

7 ოქტომბრის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს, ლიტვისა და საქართველოს ნაკრებებს შორის პოლონეთის მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება – მთავარი მსაჯი რიშარდ ვოიჩიკი, ასისტენტები – ევგენიუს კოჩარი და კონრად საპელა, მეოთხე მსაჯი ზბიგნევ მარჩიკი. დელეგატი შვედი ბო კარლსონი იქნება. 11 ოქტომბრის იტალიის ნაკრებთან მატჩს შვედი მსაჯები გაუძღვებიან – მთავარი მსაჯი კარლ-ერიკ ნილსონი, ასისტენტები – ლეიფ ლინდბერგი, სტეფან ვიტბერგი, მეოთხე მსაჯი სტენ იოჰანსონი, დელეგატი შოტლანდიელი ერნესტ უოლკერია. კაუნასში მატჩი ადგილობრივი დროით 18 საათზე დაიწყება, ანკონაში – 20 საათსა და 45 წუთზე.

### V ტურის მსაჯები და ინსპექტორები

**17 სექტემბერი**

**გორდა-მერანი** — მთავარი მსაჯი — ა. შალამბერიძე, ასისტენტები — გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე, მეოთხე მსაჯი — პ. დოგრაშვილი, ინსპექტორი — ა. მილჩენკო.

**თსუ-არმაზი-დილა** — მთავარი მსაჯი — ა. ორდინიძე, ასისტენტები — ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — მ. მაისურაძე, ინსპექტორი — ლ. ყიფიანი.

**ტორპედო-კოლხეთი 1913** — მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — ზ. ანიაშვილი, ინსპექტორი — ა. დურსუნიში.

**დინამო (თბ)-დინამო (ბთ)** — მთავარი მსაჯი ს. კვარაცხელია, ასისტენტები — ა. სამხარაძე, გ. ცირდავა, მეოთხე მსაჯი — მ. მალაღურაძე, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

**18 სექტემბერი**

**სიონი-ლოკომოტივი** — მთავარი მსაჯი — ლ. ფანიაშვილი, ასისტენტები — ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი, მეოთხე მსაჯი — ა. მეშკოვი, ინსპექტორი — ქ. ყრუაშვილი.

**იბერია-ვიტ ჯორჯია** — მთავარი მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი, მეოთხე მსაჯი — დ. სანაია, ინსპექტორი — მ. კობიაშვილი.



## ლაშქრის შეკრება გვიბრძანებია

**წინათ იტყოდნენ, „ქუდზე კაციო“ და ქართველთა ლაშქარიც საომრად ემზადებოდა. ომი ღმერთმა გვაშოროს და ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ციკლში წინ დიდი საფეხბურთო ბრძოლები ელის. ძოძუაშვილმა და ყიფიანმა 27 ფეხბურთელი შეიგულეს, ფაქტობრივად ნაკრებში უძლიერესი შემადგენლობაა თავმოყრილი.**

**მეკარეები:** დავით გვარამაძე, ირაკლი ზოიძე. **მცველები:** ლევან სილაგაძე, გიორგი ნემსაძე, სევასტი თოდუა, ირაკლი ვაშაკიძე, კახა კალაძე, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი. გელა შეყილაძე, ვალტერ გუჩუა. **ნახევარმცველები:** თენგიზ სიჭინავა, გოჩა ჯამარაული, თემურ ქეცბაია, კახა გოგიჩაიშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი ქინქლაძე, გიორგი გახოკიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი. **თავდამსხმელები:** მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, არჩილ და შოთა არველაძეები, გიორგი დემეტრაძე, ზაზა ჯანაშია.

კოლეგებს, არც ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა ჩამორჩა, მის განკარგულებაში 26 ფეხბურთელია: **მეკარეები:** გიორგი ლომაია, მირზა მერლანი. დავით ხმელიძე, ზურაბ ბათიაშვილი; **მცველები:** ედიკ საჯაია, დავით დიღმელაშვილი. ვლადიმერ ბურდული, მამუკა წერეთელი, გიორგი შაშიაშვილი; **ნახევარმცველები:** გია იმედაძე, გივი კვარაცხელია, იოსებ დევიძე, ლევან გვაზავა, ოლეგ გველესიანი, ლევან კორღალიძე, ლაშა ნოზაძე, რეზო ქემოკლიძე, ლევან მელქაძე, თორნიკე რუხაძე, მალხაზ ასათიანი, რევაზ გოცირიძე, მიხეილ ბობოხიძე, საბა სულთანიშვილი: **თავდამსხმელები:** ვალერი გაგუა, კლიმენტი წიტაიშვილი, გიორგი შენგელია; 53 რჩეული ქართველი ფეხბურთელიდან მწვრთნელები 36 დაიტოვებენ და 18-18 ფეხბურთელით გაემგზავრებიან ლიტვასა და იტალიაში. მომქანცველი ტურნირის სტარტამდე, ანუ 7 ოქტომბრამდე საკმაო დროა, მანამდე უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად მოვემზადოთ, რათა ტურნირის დაწყებამდე, გულშემატკივართა მცირე იმედი გაღვივდეს და ჩვენი ნაკრები გუნდები ღირსეულად წარსდგნენ მეტოქეთა წინაშე.



### ბოსნიაში 16 ფეხბურთელით და მსაჯით

17 სექტემბერს, რეგიონთა თასის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად ბოსნიაში გაემგზავრა კახეთის რეგიონის გუნდი. 23-კაციან დელეგაციაში 16 ფეხბურთელია: **მეკარეები:** ბესარიონ კოდალაევი, ირაკლი სილაგაძე, **მცველები:** კობა ჩადუნელი, ემზარ გელაშვილი, გიორგი მეტრეველი, ლაშა მეტონიძე, მიხეილ მოსიაშვილი, **ნახევარმცველები:** ერეკლე მერებაშვილი, ოთარ ბახტაძე, მიხეილ სოსელია, გიორგი კიკვაძე, არჩილ თვაური, შალვა მაისურაძე, **თავდამსხმელები:** გიორგი ჯანელიძე, ოთარ ვარამიშვილი, მალხაზ კრავეიშვილი, **მწვრთნელები:** მიხეილ ფურცელაძე და ოთარ რუხაძე. ტურნირში საქართველოს გუნდთან ერთად მსაჯი ოთარ ხეცაძეც იქნება, იგი შესარჩევ შეხვედრებს მოემსახურება.

# SOS

## ესლა გვაკლდა?!

არ გველევა დაპირისპირება და სკანდალები, ჯერ „ლოკომოტივის" სტადიონი საიდან და როგორ შენდება, რა უფლებითო, გაიძახიან მავანნი. ახლა „ირაოს" საფეხბურთო სკოლისა და „დინამოს" საბჭოს დაპირისპირებაღა გვაკლდა. ეს კონფლიქტი თვეა, რაც გრძელდება, მიზეზი ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე არსებული პატარა სტადიონია ე.წ. „გარევოი", რომლის განახლება და საერთაშორისო სტანდარტებით კეთილმოწყობა კარგა ხანია დაიწყო „ირაოს" სკოლის მესვეურთა მიერ. „დინამოს" საბჭო „ირაოს" უკანონო მშენებლობას აბრალებს, არადა, თავის დროზე თითქოს ყველაფერი კანონიერი იყო და თბილისს ბავშვებისთვის კიდევ ერთი მშვენიერი სტადიონი უნდა შემატებოდა, ახლა კი მტყუან-მართალის გარჩევამდე უფრო მივალთ, ვიდრე სტადიონის აშენებამდე. ეს კი იმის დასტურია, რომ ზედმეტ ამბიციურობას და „ავი ძალის" პრინციპით ცხოვრებას სიკეთე არავისთვის მოუტანია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დინამოს საბჭოს ინტერესები სხვა საქმეს ემსახურება. ასეა, საქართველოში დღეს, როცა ადამიანი მოინდომებს კარგი საქმის გაკეთებას, მაშინვე მოცილეები გაუჩნდებიან.

## პირველი ლიგა

### I ტური (გადმოტანილი)

**თბილისი — თორი 0-1**
**სამგურალი — მეტალურგი 3-2 (ჩაიშალა 89-ე წუთზე)**
**შუქურა — ლოკომ. 2 — გურია 1-0**
**დინამო (ზ) — ივერია 3-1**
**ოკეანე — მილანი (წ) 0-0**
**კოლხეთი (ხ) — ცხინვალი 0-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-4 | 7 |
| შუქურა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-1 | 6 |
| მეტალურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ლოკ2 გურია | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| დინამო (ზ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| მილანი (წ) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| კოლხეთი (ხ) | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| თორი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| თბილისი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| ოკეანე | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ივერია | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

### IV ტური, 16 სექტემბერი

**თორი — მილანი (წ)**
**ივერია — ცხინვალი**
**ლოკომ.2- გურია — კოლხეთი (ხ)**
**მეტალურგი — ოკეანე**
**თბილისი — დინამო (ზ)**
**სამგურალი — შუქურა**

### აზერბაიჯანელები გვესტუმრებიან

18 და 20 სექტემბერს „შევარდენის" სტადიონზე საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს აზერბაიჯანელ თანატოლებთან. მატჩები 18 საათზე დაიწყება.

# „საქართველოში ფეხბურთი არ კვდება"

ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად სფფ-ს ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ***ლევან ყიფიანის*** პრესკონფერენციას – საქართველოში ფეხბურთი არ კვდება, პირიქით, ვითარდება, დიდ მასშტაბებს იძენს. მაგალითისათვის ეს მონაცემებიც საკმარისია: 98-99 წლებში ჩოხელის თასზე მონაწილეობდა 38 კლუბი, 780 ფეხბურთელი და 78 მწვრთნელი, ახლა – 2-ჯერ გაიზარდა. ასაკობრივი ცენზის ცვლილების გამო დღეს საშუალო ასაკი 15 წელია, 85 წელს დაბადებულები ჩოხელის თასზეც იასპარეზებენ და ბავშვთა ლიგაშიც. მუშაობაში ჩვენ მხოლოდ ფიფასა და უეფას მითითებებს ვეყრდნობით. ეს შედეგის მიღწევის აუცილებელი პრინციპია და მას არც გადავუხვევთ. ბავშვი წელიწადში 20-25 მატჩს უნდა თამაშობდეს. მასშტაბის ზრდის ტენდენციები ბავშვთა სხვა ტურნირებშიც თვალსაჩინოა. შარშან მესხის თასზე 39 გუნდი და 1738 ფეხბურთელი თამაშობდა. წლეულს – 88 გუნდი და 2000 ფეხბურთელი, მეტრეველის თასზე ეს მაჩვენებელი შემდეგია – შარშან 1840 ფეხბურთელი, წლეულს – 3700. ზემოთ ჩამოთვლილ ტურნირებს შარშან შეემატა ბავშვთა ლიგა, რომლის შექმნის მიზანია რეგიონებში ფეხბურთის განვითარება. ლიგას მთლიანად სფფ დააფინანსებს, ჩვენი გათვლებით ეს თანხები საკმარისია იმისათვის, რომ სამეგრელოდან გუნდი კახეთში ჩავიდეს და მატჩი ჩატარდეს როგორც წესი და რიგია. 8 რეგიონი პროპორციული სისტემით დავყავით, ფართობის გათვალისწინებით დედაქალაქს 3 ადგილი აქვს, სამეგრელოს და იმერეთს 2-2, დანარჩენებს თითო. უკვე გადაწყვეტილია, რომ 2000/01 წლებში ლიგაში 14 გუნდი ითამაშებს, ამას მეორე ლიგაც დაემატება, სულ ბავშვთა ლიგაში 28 გუნდი იქნება. უცილობლად ვიცავთ მასობრიობისა და რაც მთავარია, სპორტულ პრინციპს, ამიტომ ლიგაში მოსახვედრად ყველა გუნდი შესარჩევ ეტაპს გაივლის. უდავოდ ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას ხელს შეუწყობს კლუბების ლიცენზირება, უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს უნდა ჰყავდეს 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა გუნდები. ეს ჩვენი ახირება არ არის, ფიფასა და უეფას მითითებაა, რაც უპირობოდ უნდა შესრულდეს. სფფ-ს მხრიდან გაიზრდება იმ გუნდების მომარაგება, რომლებიც ტურნირებს იგებენ და უმაღლესი და I ლიგის გუნდებს ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებს მიაწვდიან, რა თქმა უნდა არც სხვებს დავტოვებთ საფეხბურთო ინვენტარის გარეშე. შემუშავდა გეგმა, რომლის მიხედვით სფფ საფეხბურთო სკოლებიდან შემოსული საწევროებით და საკუთარი სახსრებით ბავშვთა ფეხბურთს მთლიანად დააფინანსებს. პირველ წელს 55.000 ლარიდან შემოვიდა 26.000. მომავალში სფფ-ს მიერ დადგენილი თანხა წელიწადში ორჯერ – ოქტომბერში და თებერვალში უნდა შემოვიდეს. კლუბებისადმი დახმარება 120.000 ლარამდე გაიზრდება. შესარჩევი მატჩები ელით 16 და 18 წლიანთა ნაკრებ გუნდებს, მომავალი წლიდან ასაკი იზრდება და ამიერიდან 17 და 19 წლიანები ითამაშებენ. იმისთვის, რომ ყველასათვის სასურველი შედეგი მივიღოთ და ქართულ ფეხბურთს მყარი საფუძველი ჰქონდეს, აუცილებელია ბავშვთა ფეხბურთში მოღვაწე მწვრთნელთა ლიცენზირება. ეს აღმოფხვრის გამეფებულ უზნეობას და უვიცობას ბავშვთა აღზრდაში. მწვრთნელი მცოდნე, განათლებული უნდა იყოს და მერე თავისი ცოდნა ახალგაზრდობას გადასცეს. ზამთარში ჩატარდება მწვრთნელთა ლიცენზირება, რომელსაც სფფ ჩაატარებს. ერთთვიან კურსებს ცნობილი სპეციალისტი ელგუჯა გუგუშვილი გაუძღვება. ეს იქნება ანაზღაურებადი სამსახური და კომპეტენტური ხალხი წარმართავს მას. მწვრთნელთათვის აუცილებელი პირობა დღეს უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნაა, ასეთი მწვრთნელები ჩვენთან ცალ ხელზე ჩამოითვლება. ერთ-ერთი მტკივნეულ საკითხად ფეხბურთელთა მიგრაცია რჩება, ამას ჩვენ ვერ შევაჩერებთ, მაგრამ გარკვეული კონტროლი მაინც აუცილებელია, რომ არ მოხდეს ისეთი ფაქტი, რაც ჩემთვის გაუგებარია მერანის ბავშვთა გუნდი მთლიანად 20 ფეხბურთელით რუსეთში გადავიდა, დაუშვებელი და ყოვლად გაუმართლებელი საქციელია, რუსეთის ბავშვთა ფეხბურთი ჩვენსაზე უკეთესი განსაკუთრებით არაფრითაა, არადა, დაუსჯელობა, იცით გადამდებია და იმის გარანტიას არავინ მოგვცემს, რომ სხვაც ასევე არ მოიქცევა. დამერწმუნეთ, ჩვენი მხრიდან რეაგირებაც სათანადო იქნება. თუ ვინმეს კარგის გაკეთება სურს ქართული ფეხბურთისათვის, უმჯობესია ფეხბურთის ბიზნესში ჩასადები თანხები ქართულ ფეხბურთს მოახმაროს და ბავშვებს იდეალური პირობები საქართველოში შეუქმნას. კიდევ ერთი – დისციპლინის საკითხი, ჩემი ღრმა რწმენით, მწვრთნელი, რომელიც კლუბში გადაზრდილ და სხვა გვარით მოთამაშე ფეხბურთელს იყენებს, ფეხბურთიდან საეროთოდ უნდა მოიკვეთოს. მწვრთნელთა უმეტესობა უცხოეთში მეორეხარისხოვან ტურნირებზე დადის, ხოლო დელეგაციებში მრავლადაა ხალხი, ვისაც ფეხბურთთან არავითარი კავშირი არ აქვს. „იუნისეფმა" მოგვაწოდა იდეა და პროექტის განხორციელებით სფფ-სთან ერთად ვაპირებთ ქუჩის ფეხბურთის აღდგენას. ამას სტადიონების აღდგენა და აშენება სჭირდება. ძალიან დიდი პროექტია და უკვე ოქტომბერში ტურნირების ჩატარების დებულებას შევიმუშავებთ. მასში მონაწილეთა ასაკი 15 წლამდე იქნება".



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ლევან ყიფიანმა ვრცლად ილაპარაკა ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მრავალ პრობლემაზე, დამსწრეთ ოპტიმიზმის საფუძველიც საკმაოდ მოგვცა და აღგვითქვა, რომ მიზანდასახული, პატიოსანი მუშაობა უცილობლად გაუმაგრებს ქართულ ფეხბურთს საძირკველს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**




## მეორე ეტაპი – დღეს

დღეს, 17 საათზე, ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართება საქართველოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები. ისევე, როგორც უწინ, გამარჯვებულის გამოვლენა ერთი თამაშის შემდეგ ხდება. კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა:

ჰაბუკიანი — სამგორი
კავკასიონი — ს.ა. იბერია
შევარდენი — დინამო-2 (თბ)
ლოკომოტივი-3 — ვარძია
ამირანი — თბილისი-2
ინტერი — გურია-2
კოლხეთი-2 — დინამო-2 (ბთ)
ლაზიკა — სქური

რვა გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ თასის გათამაშებაში პირველი და უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაერთვებიან.

აქვე გაგაცნობთ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შედეგებს:

### აღმოსავლეთის ზონა

ალაზანი — ჰაბუკიანი 3-8
ლოკომოტივი-3 — ოლიმპიკი 1-1 (პენ. 5-3).
დილა-2 — იბერია (თბ) 1-9
ცხუმი — კავკასიონი 1-1 (პენ. 4-6)
ამირანი — საბურთალო 3-1
დინამო-2 (თბ.) — ვალენსია 4-0
თბილისი-2 — ვიტ ჯორჯია-2 2-0
ახალციხე — ასპინძა 1-1 (პენ. 4-5)

### დასავლეთის ზონა

დინამო-2 (ბთ) — დინამო (სოხ.) 2-1
სულორი — ინტერი 0-4
სალხინო — კოლხეთი-2 (ფთ.) 2-3
სამეგრელო — ლაზიკა 0-7
სქური — მზიური 2-1

## ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ტურნირი

### A ჯგუფი

**სპარტაკი (რუსეთი) — ბაიერი (გერმანია) 2-0**
ტიტოვი (51), ბეზროდნი (89).
**სპორტინგი (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) 2-2**
1-0 სა პინტუ (38), 2-0 ა. კრუზი (42), 2-1 რობერტო კარლოსი (50), 2-2 რუი ჟორჟე (საკ. კარში).

### B ჯგუფი

**სპარტა (ჩეხეთი) — არსენალი (ინგლისი) 0-1**
სილვინიო (33).
**შახტარი (უკრაინა) — ლაციო (იტალია) 0-3**
კლაუდიო ლოპესი (27), ნედველი (70), ინძაგი (80).

### C ჯგუფი

**ვალენსია (ესპანეთი) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2-1**
1-0 ბარახა (36), 2-0 დიეგო ალონსო (44), 2-1 ჯორჯევიჩი (73)
**ლიონი (საფრანგეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) 3-1**
1-0 ანდერსონი (2), 2-0 პუტუინი (10, საკ. კარში), 2-1 ტალანი (35), 3-1 მარლე (58).


პსვ ეინდჰოვენი — დინამო (კიევი). მეტოქის საჯარიმო მოედანში მოცელილი კახი კალაძე ამაოდ თხოულობს პენალტის დანიშვნას.

### D ჯგუფი

**გალათასარაი (თურქეთი) — მონაკო (საფრანგეთი) 3-2**
1-0 ქარდელი (16), 2-0 ჰაჯი (29), 2-1 ნონდა (50), 2-2 სიმონე (62, პენ.), 3-2 კაპონე (80).
**რეინჯერსი (შოტლანდია) — შტურმი (ავსტრია) 5-0**
მოლსი (9), რ. დე ბური (19), ალბერტცი (29), ვან ბრონკჰორსტი (71), დოდსი (86).

### E ჯგუფი

**ჰამბურგი (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) 4-4**
0-1 ტუდორი (5), 1-1 იებოა (17), 1-2, 1-3 ინძაგი (36, 52), 2-3 მაჰდავიკია (62), 3-3 ბუტი (72, პენ.), 4-3 კოვაჩი (83), 4-4 ინძაგი (88, პენ.)
**პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) 1-1**
1-0 ვარყიხა (29), 1-1 ნაიბეტი (86).

### F ჯგუფი

**ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ბაიერნი (გერმანია) 1-3**
0-1 შოლი (7), 0-2 სალიჰამიჯიჩი (48), 0-3 იანკერი (55), 1-3 სტიგ იოჰანსენი (90).
**რუსენბორგი (ნორვეგია) — პსჟ (საფრანგეთი) 3-1**
0-1 კრისტიანი (7), 1-1 ბერგი (18), 2-1 ფროდე იონსენი (62), 3-1 სკამელსრუდი (90).

### G ჯგუფი

**ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — დინამო (უკრაინა) 2-1**
0-1 შაცკიხი (4), 1-1 ლუციუსი (39), 2-1 ბრუგინკი (53).


პატრიკ კლუივერტი

**მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ანდერლეხტი (ბელგია) 5-1**
1-0 კოული (15), 2-0 ირვინი (32, პენ.), 3-0 შერინგემი (42), 4-0 კოული (50), 4-1 კოლერი (55), 5-1 კოული (72).

### H ჯგუფი

**მილანი (იტალია) — ბეშიქთაში (თურქეთი) 4-1**
0-1 თაიფური (20, პენ.) 1-1 კოკო (36), 2-1 ბირჰოფი (44), 3-1, 4-1 შევჩენკო (45 პენ., 77).
**ბარსელონა (ესპანეთი) — ლიდსი (ინგლისი) 4-4**
რივალდო (10), ფრანკ დე ბური (20), კლუივერტი (74, 84).

## უეფას თასი

## პირველი ეტაპის პირველი მატჩები

**გენტი (ბელგია) — აიაქსი (ჰოლანდია) 0-6**
შ. არველაძე (17), კნოპერი (40,70), გრონკიაერი (74), ვან დერ ვაარტი (82), სედრიკ ვან დერ გუნი (84).
**ლიერსი (ბელგია) — ბორდო (საფრანგეთი) 0-0.**
**ბოჰემიანსი (ირლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 1-3**
0-1 რაიხი (71), 0-2 ხრისტოვი (75), 0-3 ტარე (79), 1-3 კროუ (90, პენ.)
**კოშიცე (სლოვაკეთი) — გრაცერი (ავსტრია) 2-3**
1-0 ზვარა (54, პენ.), 1-1 აკვუეგბუ (58), 2-1 იამბორი (76), 2-2 სტანდფესტი (84), 2-3 ტამიჩი (90, პენ.).
**ნორჩეპინგი (შვედეთი) — ლიბერეცი (ჩეხეთი) 2-2**
1-0 ქლოდსტორმი (32), 1-1 ლიუნი (70), 1-2 ნეემარი (77), 2-2 ანდერსონი (78).
**ბაზელი (შვეიცარია) — ბრანი (ნორვეგია) 3-2**
1-0 მარგო (7), 1-1 ლუგვიგსენი (47), 2-1 შუგა (53), 2-2 ჰელსტადი (72), 3-2 კრაიცერი (86, პენ.).
**პეტრა (ჩეხეთი) — მიუნხენ-1860 (გერმანია) 0-0.**
**რაპიდი (ავსტრია) — ორგრიტე (შვედეთი) 3-0.**
ვაგნერი (20), სავიჩევიჩი (27), რატაიჩიკი (80).
**ვაშაში (უნგრეთი) — აეკ (საბერძნეთი) 2-2**
0-1 პეტო (48, საკ. კარში), 0-2 ნიკოლაიდისი (51), 1-2 პეტო (89), 2-2 კომოდი (90).

ეძღვნება თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის 75 წლისთავს

1925 75 2000

# VI. გახსოვთ, ბერძენიშვილის ის „პენალტი"?!

**1946 წლის 11 აგვისტო**
**«დინამო» თბილისი — «პარტიზანი» ბელგრადი — 1–2 (1–1).**

**„დინამო":** იოსელიანი (შუდრა), ფეხლევანიდი, სალდაძე, სარჯველაძე, მ. ბერძენიშვილი, გაგუა, ჯეჯელავა, ლოლობერიძე, პაიჭაძე, ბერეჟნოი, პანიუკოვი. **„პარტიზანი":** გლაზერი, ბროზოვიჩი, ჯურჯევიჩი, ჩოლიჩი, ჩაიკოვსკი, ატანაცკოვიჩი, რუპნიკი, მიტიჩი, ბობეკი, სიმანოვსკი, მატეკალო.



ბელგრადის „პარტიზანისა" და თბილისის „დინამოს" იმ დაუვიწყარი შეხვედრის პროგრამა.

იმ დაუვიწყარი შეხვედრიდან ბასკთა ლეგენდარულ გუნდთან 9 წელიწადი გავიდა, სანამ თბილისის „დინამოს" სტადიონმა მეორედ უმასპინძლა საერთაშორისო მატჩს. ამჯერად საქართველოს დედაქალაქს იუგოსლაველი ფეხბურთელები ეწვივნენ, რომელთა პრესტიჟი ევროპის სტადიონებზე არანაკლები იყო. ცნობილია იუგოსლავიის დიდებული ნაკრების შესაშური თამაში XV ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წელს. მან ოთხი მატჩი მოიგო და მხოლოდ ფინალი დათმო უნგრეთის „დიდ გუნდთან" — 0-2 (0-0). სპეციალისტები აღნიშნავდნენ, რომ იუგოსლაველთა ვერცხლის მედლებს „ოქროს ელვარება დაჰკრავდა".

ძველმა გულშემატკივრებმა კარგად იციან იმ ოლიმპიურ ტურნირზე იუგოსლავიისა და საბჭოთა ნაკრებთა ორრაუნდიანი მატჩის შესახებ, რომელიც აგრეთვე შევიდა მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში.

ცნობილი ინგლისელი მსაჯის არტურ ელისის ფინალურმა სასტვენმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული პირველ დღეს (5-5), ამიტომ დაინიშნა განმეორებითი მატჩი მეორე დღისათვის. ამჯერად საბჭოთა გუნდის თავდასხმაში თამაშობდა 21 წლის თბილისელი დინამოელი ავთანდილ ჭკუასელი. ვერ ვიტყვით, რომ მან კარგად ჩაატარა ეს შეხვედრა, მაგრამ, როგორც იმ მატჩზე დამსწრე ნესტორ ჩხატარაშვილმა გვითხრა რამდენიმე წლის წინათ, ჭკუასელი არც ისე ცუდად თამაშობდა, როგორც ეს საბჭოთა პრესაში დაიწერა. დამარცხება (1-3) ლამის მთლიანად ქართველ ფეხბურთელს დააბრალეს. საბჭოთა ნაკრების მარცხენა მცველი იური ნირკოვი (მერე იგი გენერალი გახდა) ერთ-ერთ პუბლიკაციაში წერდა: „ჭკუასელს რუსული არ ესმოდა და ამიტომ პარტნიორებს ვერ გვიგებდა!" ავთო ჭკუასელს მუდამ ეცინებოდა ამ სიტყვებზე: „რა თქმა უნდა, პუშკინი და ტოლსტოი არა ვარ, მაგრამ დაიჯერებთ, რომ „გალავინსკზე" გაზრდილმა კაცმა იმდენი რუსული არ ვიცოდი, რომ „ბეისამ!", თუ „დაი პას!" არ გამერჩია ერთმანეთისგან". ასეა თუ ისე, იმ


იუგოსლავიის „პარტიზანი" თბილისის „დინამოს" სტადიონზე 1946 წლის 11 აგვისტოს მატჩის წინ. მარცხნივ უკანასკნელი დგას ზლატკო ჩაიკოვსკი.

ისტორიულ მატჩში საბოლოოდ გაიმარჯვა უძლიერესმა — იუგოსლავიის გუნდმა, რომელსაც კაპიტნობდა ფეხბურთის დიდოსტატი ზლატკო ჩაიკოვსკი — სწორედ ის ზ. ჩაიკოვსკი, რომელიც ზუსტად ექვსი წლის წინათ გამოვიდა თბილისის „დინამოს" სტადიონზე სასპარეზოდ ბელგრადის „პარტიზანის" შემადგენლობაში. მაშინაც და ახლაც მას მხარს უმშვენებდნენ დიდებული ოსტატები რაიკო მიტიჩი და სტეპან ბობეკი.

„პარტიზანი" იმ სეზონში ჯერ პოლონეთს ეწვია, სადაც რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ყველაში წარმატებას მიაღწია. საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლამდე „პარტიზანმა" ისპარეზა მოსკოვში. იგი ჯერ საკავშირო ჩემპიონატის ლიდერს ცდკა-ს შეახვედრეს. არმიელებმა მინიმალური ანგარიშით 1-0 მოუგეს ბელგრადელებს. მეორე მატჩი იუგოსლაველმა ფეხბურთელებმა ლენინგრადში ჩაატარეს ქალაქის ნაკრებთან. 2-1 გაიმარჯვეს სტუმრებმა, რომლებსაც ამის შემდეგ კვლავ მოსკოვი მასპინძლობდა. აქ კი სსრკ ჩემპიონის მოსკოვის „დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო — 4-1. უნდა ითქვას, რომ სამივე მატჩი ვირტუოზულად ჩაატარა „პარტიზანის" ძირითადმა მეკარემ, 26 წლის ხორვატმა ფრანიო შოშტარიჩმა.

და აი, 1946 წლის ცხელი აგვისტოს დღეებში თბილისში კვლავ აღინიშნა „საფეხბურთო ციებ-ცხელება". ბასკების მატჩებისდაგვარად, ახლაც ყველას პირზე ერთი სანუკვარი სიტყვა — „ბილეთი" ეკერა. ათასობით გულშემატკივარი ესწრებოდა სტუმრების ვარჯიშს „დინამოს" სტადიონზე.

45 ათასი მაყურებელი გაჭირვებით მოთავსდა ჩვენი სტადიონის ტრიბუნებზე, თუმცა თამაშზე დასწრების მსურველი გაცილებით მეტი იყო — მოდიოდა გაუთავებელი განცხადებები ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან, ბაქოდან, ერევნიდან.

და აი, მატჩის დღეც დადგა. გუნდები დაეწყვნენ მოედნის ცენტრში. თბილისელებმა ყვავილების უზარმაზარ თაიგულში ჩაფლეს „პარტიზანის" ფეხბურთელები — ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი პოპულარული და უძლიერესი კლუბის წევრები. ბორის პაიჭაძემ მეტოქეთა კაპიტანს მიროსლავ ბროზოვიჩს ვეებერთელა თასი გადასცა.

რადიოკომენტატორები თავთავიანთ მიკროფონებს მიუსხდნენ — იუგოსლავიისათვის რეპორტაჟი მიჰყავდა ქვეყნის ილუსტრირებული ჟურნალის „ფრონტის" რედაქტორს ნ. კადიას, რუსულად მატჩს რადიოეთერში გადასცემდა ლეგენდარული ვადიმ სინიავსკი, ქართულად — არანაკლებ ლეგენდარული ეროსი მანჯგალაძე. საინტერესო კინოკადრების დასაფიქსირებლად შეემზადნენ საქართველოს კინოქრონიკის ცნობილი ოპერატორები გიორგი ასათიანი (იგი ამ დოკუმენტური ფილმის რეჟისორიც იყო), ლევ არზუმანოვი და ა. სემიონოვი.

— „ზდრავო, ზდრავო, ზდრავო!" — სამგზის გაისმა სტადიონზე იუგოსლაველ ფეხბურთელთა გულთბილი მისალმება, სტუმრებმა ყვავილები ტრიბუნებზე მიმოფანტეს.

...18 საათზე და 10 წუთზე გაისმა მოსკოველი არბიტრის ნიკოლაი ლატიშევის სასტვენის პირველი ნიშანი. ბურთი თამაშშია. რამდენიმე წამიც და იგი უკვე თბილისელთა მეკარის გივი იოსელიანის ხელშია. ახლა უკვე თბილისელებს გადაჰყავთ ბრძოლა მეტოქის ნახევარზე — კარისკენ გაჭრილი ვიქტორ პანიუკოვი შორიდან ძლიერად, მაგრამ მეტისმეტად არაზუსტად ურტყამს... იუგოსლაველთა მწვრთნელის ფრანიო გლაზერის კარის მიმართულებით. ცოტა მოგვიანებით დავძენთ, რომ „პარტიზანის" კარს ამ დღეს იცავდა... გუნდის მწვრთნელი, 32 წლის გიგანტი (მისი სიმაღლე 184 სმ იყო) ფ. გლაზერი. მან აგრეთვე მშვენივრად ჩაატარა შეხვედრა.

იუგოსლაველები დამაჯერებლად თამაშობდნენ შეტევაში და ასევე საიმედოდ ახორციელებდნენ საკუთარი კარისა და საჯარიმოს მისადგომების დაცვას, გუნდი საკმაოდ მაღალ ტექნიკას ფლობდა, ხოლო თავით უბადლო თამაშით სტუმრები ბასკებსაც კი მოგვაგონებდნენ.

შეხვედრის მე-10 წუთზე კარისკენ გაიჭრა კიდევ ერთი ფრანიო — ამჯერად მარჯვენა გარემარბი რუპნიკი, რომელმაც თითო გოლი გაიტანა მოსკოვსა და ლენინგრადში. ახლაც ზუსტად და ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ მეკარე იოსელიანმა აკრობატულ ნახტომში აიღო ბურთი.

მწვავედ უტევდნენ თბილისელებიც. 25 წუთი იყო გასული, როდესაც ბორის პაიჭაძე ოსტატურად შეიჭრა სტუმართა საჯარიმო მოედანში და მეკარესთან პირისპირ დარჩენილი კარში დასარტყმელად შეემზადა. უკანასკნელ მომენტში სტუმართა ცენტრალური მცველი ჯურჯევიჩი მას უკნიდან დაეწია და „მოცელა" საჯარიმოში. ნ. ლატიშევმა 11-მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. ულალატო პენალტისტმა მიხეილ ბერძენიშვილმა ამ დღეს გააოცა არა მარტო სტუმართა მეკარე და მთლიანად იუგოსლაველთა გუნდი, არამედ ტრიბუნებზე შეკრებილნიც. გამოცდილი მეკარე ფრანიო გლაზერი თავგანწირულად გადახტა მარჯვენა კუთხეში, ბურთი კი... დინჯად მიგორავდა კარის მარცხენა კუთხეში.

1-0 — გაოგნებული სტუმრები გაოცებით შესცქეროდნენ ჩვენს ფეხბურთელს, მაყურებლები ხომ სიცილისგან მთლად ჩაბჟირდნენ. სტადიონი კარგა ხანს ვერ დაშოშმინდა. მარტო ამ „ისტორიული" ბურთისთვის ღირდა სტადიონზე მისვლა! მიხეილ ბერძენიშვილი ნამდვილ გმირად იქცა იმ დღეს!..

ყოველივე ამან მაინც ვერ გამოიყვანა წონასწორობიდან ჩვენი სტუმრები — ისინი ახლა ბევრად უფრო აქტიურად და შეწყობილად ამოქმედნენ. არ გასულა 3 წუთიც და სტადიონის მრგვალ ფარებზე მეორე „1" გამოჩნდა. რაიკო მიტიჩმა უძლიერესი დარტყმით გაიტანა საპასუხო გოლი — 1-1. თამაშის 45 წუთი მიილია.

შესვენების შემდეგ სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, ყოველი მათგანი მოქმედებდა მაღალტექნიკურად, გააზრებულად, ენერგიულად, აი მასპინძლები კი ეტყობა დაიღალნენ. ერთი სიტყვით, უპირატესობა ახლა მთლიანად იუგოსლაველების მხარეზე იყო. 53-ე წუთზე ჩვენს საჯარიმოში მწვავე ბრძოლა გაჩაღდა კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთისთვის. იმარჯვა რუპნიკმა და თბილისის სტადიონის კარის ბადეც „მოსინჯა" — მისი დარტყმა შედეგიანი იყო — 2-1. ტრავმირებული იოსელიანის ნაცვლად კარში სერგო შუდრა დადგა...



თბილისის „დინამოს" 1946 წლის სეზონის შემადგენლობის სარეკლამო ფოტო

სტუმრებმა არც ამ გოლის შემდეგ უღალატეს თამაშის შემტევ პრინციპს, ამავე დროს კვლავინდებურად ფხიზლად იცავდნენ თავიანთ კარს, რომელშიც დინამოელებმა დარჩენილ დროში, ისიც მხოლოდ ბოლო წუთებზე, ერთი-ორჯერ თუ დაარტყეს.

ტრიბუნები გულთბილად მიესალმებოდნენ სტუმრებს ჭეშმარიტად ვირტუოზული თამაშისათვის, ზოგიერთი გულშემატკივარი მინდორზეც კი გაიჭრა — ალტაცება ვეღარ დამალა ჩაიკოვსკის, ბობეკის, მიტიჩის, რუპნიკის, მატეკალოსა და სხვათა დიდოსტატური თამაშის გამო.


„პენალტების მეფე" მიხეილ ბერძენიშვილი, რომელმაც იუგოსლაველთა კარში ერთადერთი ბურთი გაიტანა.

აი, რას იხსენებს „პარტიზანთან" მატჩის მონაწილე, თბილისის „დინამოს" მაშინდელი მეკარე, ექიმი-ნევროპათოლოგი, 82 წლის გივი იოსელიანი:

— იუგოსლაველებთან შეხვედრამ ბასკების მატჩზე არანაკლები ინტერესი გამოიწვია. მართალია, დინამოელებმა ეს მატჩიც წააგეს, მაგრამ უდავოდ ისიც შესულია ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. მატჩისათვის ერთკვირიან შეკრებაზე ვემზადებოდით გულმოდგინედ ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით. მწვრთნელი გვაფრთხილებდა, რომ სტუმართაგან ყველაზე სახიფათოა უნივერსალური ტიპის ნახევარმცველი ზლატკო ჩაიკოვსკი, მაგრამ... როდესაც იგი მოთელვაზე გამოსული დავინახეთ, ბიჭებს, ცოტა არ იყოს, გაგვეცინა — ჩაიკოვსკი 22 ფეხბურთელს შორის ყველაზე ტანდაბალი იყო, თავიანთ მეკარეს, ახოვან ფრანიო გლაზერს, შეიძლება ითქვას, მუცლამდე თუ სწვდებოდა. მართლაც კარგი თამაში იყო, მგონი ცუდად არც ჩვენ ვითამაშეთ, ყოველ შემთხვევაში, „დიავოლამ" შეგვაქო შეხვედრის შემდეგ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ყველაფერი იღბლის საქმე გამოდგა! პირველი ბურთი ჩვენს კარში მიტიჩმა გაიტანა (ჩაიკოვსკის მიერ წამოწყებული კომბინაციით) დაახლოებით 11-მეტრიანის წერტილიდან — ძლიერად დარტყმული დაბალი ბურთი ჩემგან მარჯვენა შტანგას მოხვდა და კარში შეგორდა. აი ის მეორე გოლი, ჩემი აზრით, არ უნდა გასულიყო. რუპნიკმა დაასწრო ჩვენს მცველებს, მე ფეხებში ჩავუვარდი ფორვარდს, მაგრამ იმავე წამს მოჰყვა მისი დარტყმა 4 მეტრიდან — რუპნიკის ფეხი თავში მომხვდა, ბურთი კი გულმკერდში. გონება დავკარგე (თურმე გოლი გასულა), მინდვრიდან ექიმებმა გამიყვანეს. თამაშს მამაჩემი ალექსანდრეც ესწრებოდა, ეტყობა სვანურმა სისხლმა მაინც იჩქეფა მასში და თურმე იმ მომენტში ფეხზე წამომხტარა და ხმამაღლა უყვირია: „მოვკლავ მაგას ახლავე... შვილი მომიკლა მგონი!" ხუმრობა იქით იყოს და ასეთი კარგი გუნდი მე სხვა არ შემხვედრია. რაც შეეხება ზლატკო ჩაიკოვსკის, იგი მართლაც უდიდესი ოსტატი იყო (დაახლოებით ჩვენი გაგუას სტილში თამაშობდა), მას ყველგან ნახავდით მინდორზე — ჩვენსა თუ თავიანთ კართან.

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## აგასალიმ მირჯავადოვი: „კვარაცხელიასგან მეტს ველი!“

### ჩვენებურს კი უკვირს, გოლები გამაქვს, მეტი რაღა ვქნაო

აზერბაიჯანის რჩეულმა კლუბმა „შამქირმა“ ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურში კვლავ დაკარგა ქულები, ამჯერად სტუმრად „ხაზარ უნივერსიტეტის“-თან ფრედ 2-2 ითამაშა, სტუმრები კულიკოვისა და ბადრი კვარაცხელიას გოლების წყალობით 2-0-ს იგებდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. მატჩის დამთავრების შემდეგ „შამქირის“ მთავარი მწვრთნელი აგასალიმ მირჯავადოვი გულდაწყვეტილი იყო: „ჩემი შეგირდები მინდორზე დალასლასებდნენ. განსაკუთრებული პრეტენზიები მაქვს გუნდის წამყვანი ფორვარდის ბადრი კვარაცხელიას მიმართ— იგი მრავალ საგოლე მომენტს ჰკარგავს. მომდევნო შეხვედრაში კარგად დავფიქრდები, ვინ დავაყენო ძირითად შემადგენლობაში! მწვრთნელის წუხილი გასაგებია: ქვეყნის ჩემპიონმა უკვე ხუთი ქულა დაკარგა (პირველ ტურში, შინ, „შამქირმა“ საშუალო დონის „ვილიაშთან“ წააგო, 0-1) და, როგორც კულუარებში ამბობენ, ამ წარუმატებლობას, შესაძლოა, მწვრთნელი გადააყოლონ.

ქართველი ლეგიონერი ბადრი კვარაცხელია აზერბაიჯანელ ჟურნალისტებთან საუბარში გაკვირვებას ვერ მალავს — გუნდის მთელი თამაში მიმყავს, გოლებიც გამაქვს, სხვა რაღა მევალებაო.

## ვიალი გადააყენეს!

**ეს ცნობა ბევრისთვის, ალბათ, მოულოდნელი იქნება. „ჩელსის“ მესვეურები უკმაყოფილონი დარჩნენ გუნდის სტარტით ინგლისის პირველობაზე და, ჯოხი, როგორც ყოველთვის, მწვრთნელზე გადატყდა — გადააყენეს იტალიელი ჯანლუკა ვიალი. ვიალი, როგორც მოგეხსენებათ, კარგა ხანს, კლუბიდან რუუდ გულიტის წასვლის შემდეგ, „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი იყო, შარშანდლიდან კი თამაში შეწყვიტა და „მხოლოდ“ მთავარი მწვრთნელი გახდა.**

## „მანჩესტერმა“ გამოსავალი ნახა

ინგლისის პრემიერლიგის წამყვანმა კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მდიდარი საფეხბურთო კლუბებისაგან თავისი მოთამაშეების „დასაცავად“ გამოსავალი ნახა. „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან დევიდ ბექჰემი და როი კინი, კლუბის აქციონერები გახდებიან. თითოეული მათგანი მიიღებს 10-10 მილიონ გირვანქა სტერლინგის ღირებულების ფასიან ქაღალდებს. ასეთი საჩუქარი ხელს შეუწყობს „მანჩესტერის“ ფეხბურთელების კლუბში დამაგრებას და მათ თვალი აღარ ეჭირებათ იტალიისა და ესპანეთის მდიდარი კლუბებისაკენ.

## ნილისი გაისამდე დაისვენებს

**ინგლისური „ასტონ ვილას“ 33 წლის ვეტერანმა ფეხბურთელმა ლიუკ ნილისმა „იფსვიჩთან“ ბოლო ტურის მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო და ექიმთა დასკვნით ბელგიელი ფორვარდი საფეხბურთო მინდორზე მხოლოდ გაისად ზაფხულში შეძლებს გამოსვლას.**

## ბონფრერი აღშფოთებულია, მაგრამ...

4 წლის წინათ, ატლანტაში, ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის ფინალურ მატჩში ნიგერიის ნაკრებმა ბრაზილიელები დაამარცხა 4-3. მას შემდეგ შეიცვალა ევროპის საფეხბურთო კლუბების მესვეურთა მიდგომა ოლიმპიური თამაშებისადმი — ისინი ვალდებულად აღარ თვლიან თავს ნიგერიის ნაკრებში გამოუშვან ფეხბურთელები. ცხადია, ამის გამო ნაკრების ჰოლანდიელი თავკაცი ჯო ბონფრერი აღშფოთებულია: „ახლახან შევიტყვე, რომ ლონდონის „არსენალის“ ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს ოლიმპიურ ნაკრებში სათამაშოდ გამოუშვან ნვანკვო კანუც. ეს მოუთმენელია! დღემდე ვერ გადამიწყვეტია ოლიმპიურ ტურნირში ვინ დავაყენო ძირითად შემადგენლობაში. ასეთ სიტუაციაში ოქროს მედლებზე ფიქრიც არ შეიძლება!“

## კეჩინოვს ყველა ინვევს?

მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ვალერი კეჩინოვი ტრავმის გამო თავის კლუბს წლეულს ნაკლებად გამოადგა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვევები არ აკლია.

— ჩემი ყიდვა სურთ ესპანურ, ჰოლანდიურ, ბელგიურ და ავსტრიულ კლუბებს — განაცხადა კეჩინოვმა, — თუ სად ვითამაშებ, ეს უახლოეს ხანებში გამოირკვევა.

## დედის გინებაზე უნდა ვუპასუხო... გოლით!

როგორც ვიგოს „სელტას“ რუსმა ნახევარმცველმა ვალერი კარპინმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისი გუნდის სანკტ-პეტერბურგში „ზენიტთან“ თამაშში, რამდენჯერაც მიიღებდა ბურთს, ტრიბუნებიდან მისი მისამართით დედის გინება ისმოდა.

რა უნდა ექნა ამის საწინააღმდეგოდ ფეხბურთელს! ეტყობა, მხოლოდ ის, რაც გააკეთა — გოლი გაიტანა და გულშემატკივრებს ჟესტით ანიშნა — ესეც თქვენო!

## შესაძლოა, „ბარსელონა“

**როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონმა სილვენ ვილტორმა გაფიცვა გამოაცხადა, არ მოისურვა „ბორდოში“ თამაში. ამასთან, მისი ცდა, გადასულიყო ლონდონის „არსენალში“, მარცხით დასრულდა. ახლაც განიხილავენ კიდევ ერთ ვარიანტს — მის გადასვლას „ბარსელონაში“.**

## დაუმს მოსწონს „სპარტაკის“ ფეხბურთელები

ლევერკუზენის „ბაიერის“ მწვრთნელ კრისტოფ დაუმს მოსწონს მოსკოვის „სპარტაკის“ რამდენიმე ფეხბურთელი. ტიტოვს იგი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო პლეიმეიკერად თვლის, აქებს ტიხონოვს, თუმცა მას ამ სეზონში პრობლემები აქვს, ძლიერ ფეხბურთელად მიაჩნია რობსონიც.

რაც შეეხება შირკოს, გერმანელ სპეციალისტს საერთოდ სურს მისი ყიდვა.

## რებროვი — ლონდონელების ახალი კერპი

**სანამ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ინგლისის ჩემპიონატში მარცხიანად თამაშობდა, „უაიტ ჰარტ ლეინის“ სტადიონის ტრიბუნებიდან ხშირად გაისმოდა ხმები „გრემო, წაეთრიე!“ ეს კი მწვრთნელ ჯორჯ გრემის გადადგომის კატეგორიული მოთხოვნა იყო.**

მწვრთნელი იხსნა უკრაინელმა ლეგიონერმა სერგეი რებროვმა, რომელმაც ლივერპულის „ევერტონთან“ ორი გოლი გაიტანა. თვით გადარჩენილმა ჯორჯ გრემმა კი განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ რებროვი ლონდონელი გულშემატკივრების ისეთივე კერპი იქნება, როგორიც დავიდ ჟინოლა იყო“.

## 18 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე...

...გვატემალაში ჩატარდება IV ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში. აი მონაწილეების წილისყრის შედეგები: ჯგუფი A: ბრაზილია, პორტუგალია, ყაზახსტანი, გვატემალა. ჯგუფი B: ჰოლანდია, ურუგვაი, ეგვიპტე, ტაილანდი. ჯგუფი C: რუსეთი, ხორვატია, ავსტრალია, კოსტა-რიკა. ჯგუფი D: ესპანეთი, არგენტინა, ირანი, კუბა.



## ყველაზე ძლიერი ჩემპიონატი ევროპაში?

ევროპის ქვეყნების 1999-2000 წლების პირველობების დამთავრებისთანავე, ბევრმა მიმომხილველმა ჩათვალა, რომ ყველაზე ძლიერი ესპანეთის ჩემპიონატი იყო (მანამდე ასეთად იტალიის პირველობას მიიჩნევდნენ). ძნელი სათქმელია, მართლა ასეა თუ არა, მაგრამ რომ პირინეებზე არაერთი შესანიშნავი კლუბია ფეხბურთელების მთელი თანავარსკვლავედით, ეს ფაქტია.

9 სექტემბერს დაიწყო ესპანეთის 2000-2001 წლების ჩემპიონატი. ვის აკუთვნებენ ექსპერტები უპირატესობას, ვის შეუძლია იბრძოლოს პირველი ადგილისათვის.

ლა-კორუნიას „დეპორტივომ“, ცხადია დამსახურებულად გაიმარჯვა ქვეყნის ბოლო ჩემპიონატში, თუმცა შემადგენლობის მიხედვით, წინასწარი შეფასებით, რამდენიმე კლუბს ჩამოუვარდებოდა. ახლა იგი მადრიდის „ატლეტიკიდან“ გადასული სამი ფეხბურთელით გაძლიერდა. ესენია ნაკრების მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინა (რომელთანაც ექვსწლიანი (!)კონტრაქტი გაფორმდა), ნაკრების ნახევარმცველი ხუან კარლოს ვალერონი და მცველი ხუან კაპდევილია. მათში კლუბმა 19,1 მილიონი დოლარი გადაიხადა. „დეპორტივოს“ ამ ახალ სეზონში უკვე აქვს ერთი დიდი წარმატება: ორრაუნდიან ბრძოლაში ესპანეთის სუპერთასზე სძლია — 0-0, 2-0 ბარსელონას „ესპანიოლს“. ახლა, მიმომხილველთა აზრით, რახან ორჯერ ზედიზედ ესპანეთის ჩემპიონობა კლუბისათვის შეიძლება გადაუჭრელი ამოცანა გახდეს, ლა-კორუნიას კლუბი მეტ ყურადღებას დაუთმობს პრესტიჟულ ჩემპიონთა ლიგას.



*ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდებმა ამხანაგური მატჩები გამართეს. „სელტამ“ — „რომასთან“ ფრედ 1-1 ითამაშა. ფოტოზე — რომაელი დამიანო თომაზის (მარცხნივ) და გალისიელთა ახალწევეულის ვაგნერის ორთაბრძოლაა.*

ჩემპიონობის უდავო პრეტენდენტი, როგორც ყოველთვის, „ბარსელონა“ იქნება. ახალი მწვრთნელი სერა ფერერი გუნდის ახლიდან ჩამოყალიბებას შეუდგა. კატალონური კლუბი ბევრმა, ძირითადად ჰოლანდიელმა, ფეხბურთელმა დატოვა, რამდენიმე ახალიც მივიდა. რა მოხდა ამის შემდეგ, „ბარსელონამ“ წააგო თუ მოიგო? ექსპერტები თვლიან, რომ არ წაუგია, რამდენადაც აქ მოვიდნენ მარკ ოვერმარსი, ემანუილ პეტი, ივან დე ლა პენია. მიზანი, ყოველთვის არა მარტო ეროვნულ ჩემპიონატში ბრძოლაა, არამედ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლაც.

საკმაოდ გაურკვეველი მდგომარეობაა მადრიდის „რეალში“. თვლიან, რომ წელს აღარ განმეორებულა შარშანდელი შეცდომა, როცა მადრიდელებმა დიდი ფული გადაყარეს ნიკოლა ანელკაში და, მერე, დიდი წვალების შედეგად, როგორც იქნა, მოიშორეს თავიდან. ის, რომ ახლა დიდ იმედებს ამყარებენ ლუიშ ფიგუზე, უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი, გარდა ამისა, ვიგოს „სელტადან“ შეიძინეს ნახევარმცველი ალბერტ სელადესი, „ვალიადოლიდისაგან“ — მეკარე სესარ სანჩესი, მადრიდის „ატლეტიკოსაგან“ — არგენტინელი ნახევარმცველი სანტიანო სოლარი. იმავე „ვალიადოლიდს“ იჯარით გადასცეს იუგოსლავიელი თავდამსხმელი პერიცა ოგნენოვიჩი. შემადგენლობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა „რეალი“ ესპანეთში ყველას აღემატებოდეს, მაგრამ მიმომხილველები იმასაც წერენ, რომ მას „არ აწყენდა“ ერთი-ორი კარგი მცველი, ერთი — ორი კარგი თავდამსხმელი — სეზონი ხომ მეტად გრძელია და ძნელი. ისე კი, „რეალის“ წინასასეზონო, ამხანაგური მატჩებიდან არ შეიძლება არ გამოიყოს 5-1 „სან-სიროზე“, „მილანის“ სრული გაცამტვერება.

მაშ ასე — „დეპორტივო“, „ბარსელონა“ „რეალი“. კიდევ ვის შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია საპრიზო ადგილებზე?

ჩემპიონთა ლიგის ფინალისტმა „ვალენსიამ“, რომელსაც უკვე მეორე წელია შესანიშნავი არგენტინელი სპეციალისტი ექტორ კუპერი უდგნას სათავეში, მართალია დაკარგა ასევე არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი, მაგრამ ხელი არ აუღია აგრესიულ, შემტევ თამაშზე. ჩამოყალიბებულია ფორვარდების ახალი წყვილი: ურუგვაელი ალონსო, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა მოიპოვოს სახელი ევროპაში და ფართოდ ცნობილი სლოვენიელი ზახოვიჩი. რაც შეეხება მინდვრის ცენტრს, აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას ისეთმა მრავალნაცადმა ოსტატმა, როგორიც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დეშამია.

„სარაგოსა“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ხუან მანუელ ლილიო, შესანიშნავად თამაშობდა წინა სეზონში, მაგრამ ახლა შეიძლება დაეტყოს სავო მილოშევიჩის დაკარგვა. პროვინციული „ალავესი“ პირველად მიიღებს მონაწილეობას უეფას თასის გათამაშებაში. ამ გუნდიდან წავიდა და საერთოდ დაანება თავი ფეხბურთს 37 წლის ხულიო სალინასმა, მაგრამ სამაგიეროდ, „ალავესმა“ შეიძინა ხორდი კრუიფი, რომელიც „ბარსელონას“ დატოვების შემდეგ ფაქტობრივად უსაქმოდ იყო ინგლისში. ეს, რა თქმა უნდა, ანერვიულებდა მამას, ლეგენდარულ იოჰან კრუიფს, რომელიც რამდენიმე წელია ასევე უსაქმოდაა და კლავინდებურად ბარსელონაში ცხოვრობს, სხვათა შორის, იქვე, სტადიონ „ნოუ კამპის“ მახლობლად.

ვიგოს „სელტა“, რომელსაც ისევ ვიქტორ ფერნანდესი წვრთნის (მას ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობის პრეტენზიაც აქვს, თუ, რა თქმა უნდა, კამაჩოს „წყალი შეუდგება“) გაძლიერდა — ერთბაშად ოთხი ბრაზილიელი მიიწვია. ეს შეიტყო კიდეც ინტერტოტოს თასზე, რომელიც ამას წინათ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ დაატოვებინა (2-1, 2-2). ამიერიდან თავდამსხმელთა საინტერესო დუეტი ეყოლება „ვალიადოლიდს“: მექსიკის ნაკრების თავდამსხმელი კუაიტემოკ ბლანკო და ეკვადორელი ხაიმე ივან კავიედესი. „მაიორკას“ დაუბრუნდა ჩინებული არგენტინელი მეკარე კარლოს როა, რომელიც ერთ ხანს თამაშზე უარს ამბობდა რელიგიური მოსაზრებების გამო. „მაიორკას“ სათავეში ჩაუდგა ლუის არაგონესი, ყველაზე ხნიერი და გამოცდილი ესპანელ მწვრთნელთა შორის. ბილბაოს „ატლეტიკს“ უხელმძღვანელებს „სარაგოსადან“ გადმოსული ჩეჩო როხი. ხავიერ კლემენტეს, რომელსაც კიდევ ერთ ბასკურ კლუბში, სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადში“ ძალიან გაუჭირდა, მოუხდება მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლა. მას ლიტველ თავდამსხმელ იანკაუსკასის იმედი აქვს, რომელსაც სულ ცოტა ხანში საქართველოს ნაკრებთან მოუხდება თამაში. სანტანდერის „რასინგიდან“ წასული პარაგვაელი მწვრთნელი გუსტავო ბენიტესი, ანდონი გოიკოეჩეამ შეცვალა. „ოვიედოს“ სათავეში ჩაუდგა ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი რადომირ ანტიჩი, რომელიც სხვადასხვა დროს მადრიდის „რეალშიც“ მუშაობდა და მადრიდის „ატლეტიკოშიც“. ანტიჩი თვლის, რომ ახლა „ოვიედოში“ უაღრესად მძიმე სიტუაციაა.

მიმომხილველები თავს იკავებენ პირველ რიგში გადასული „ლას პალმასის“, „ვალიარეალისა“ და „ოსასუნას“ შესაძლებლობების შეფასებისაგან, რომელთა მთავარი ამოცანა, ეტყობა, „მზის ქვეშ“ ადგილის შენარჩუნება იქნება.

**ბივი თორელი**

***P.S.* *ამასობაში გაიმართა ესპანეთის ჩემპიონატის I ტური: „სარაგოსა“ — „ესპანიოლი“ 1-2, „რეალი — ვალენსია“ 2-1, „ბარსელონა“ — „მალაგა“ 2-1, „დეპორტივო“ — „ატლეტიკო 2-0, „სოსიედადი“ — რასინგი 2-2. „ოსასუნა“ — „სელტა“ 0-2, „ნუმანსია“ — „ოვიედო“ 1-0, „მალიორკა“ — „ვალიადოლიდი“ 1-1, „ვილიარეალი“ — „რაიო“ 1-5, „ლას პალმასი“ — ალავესი“ 0-3***

## კაპიტანი ტონი ადამსია, ვიცე-კაპიტანი კი სოლ კემპბელი

**მას შემდეგ, რაც თავდამსხმელი ალან შირერი არ დაეთანხმა ნაკრების ხელმძღვანელობის თხოვნას გაეგრძელებინა თამაში ნაკრებში, საჭირო გახდა ახალი კაპიტნის არჩევა. იგი ამიერიდან გახდა ლონდონის „არსენალის“ 33 წლის მცველი ტონი ადამსი, ვიცე-კაპიტანია ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ 25 წლის მცველი სოლ კემპბელი.**

## ბრაზილიელი ექომაგება ბრაზილიელს

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე ამ ბოლო ხანებში რომ დაუპირისპირდა ბრაზილიელ ფეხბურთელ სავიოს, აალელვა ამ ნიჭიერი ფეხბურთელის გულშემატკივრები. ლაპარაკიც კი დაიწყო იმის შესახებ, რომ სავიო შეიძლება ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდეს.

ასეთ პირობებში სავიოს გამოექომაგა „რეალის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, ბრაზილიელი რობერტო კარლოსი. როგორც მან კატეგორიულად განაცხადა, „რეალში“ ამჟამად არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ სავიოს კლასის ოსტატი სხვებს დაუთმოს.

## წერილი რედაქციას

ხმა გავრცელდა, ქართველი მოჭიდავე, ეროვნული ნაკრების წევრი ნიკა ალშიბაია რუსეთს გადაბარგდა, მალე იქაურ მოქალაქეობასაც მიიღებს და რუსეთის სახელით იასპარეზებსო. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია?

*ი. იზორია, ქ. ზუგდიდი*

**„ლელო“ დაუკავშირდა თავის ზუგდიდელ კორესპონდენტს ლადო ქორიას. აი, რა მასალა მოგვაწოდა მან მოჭიდავე ნიკა ალშიბაიაზე.**

# საქართველოს ვერ ელევა ნიკა ალშიბაია

ნიკა ალშიბაიამ ადრეულ ასაკშივე გამოავლინა ჭიდაობისადმი მიდრეკილება და ნიჭი. თერთმეტ-თორმეტი წლის თუ იქნებოდა, როდესაც ვარჯიში დაიწყო ზუგდიდის სპორტკომიტეტთან (თავმჯდომარე რევაზ ჩიხლაძე) არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის (დირექტორი ჯამბულ ახალაია) თავისუფალი ჭიდაობის სექციაში (უფროსი მწვრთნელი გოჩა ჩოკორაია).

სწორედ აქ, თავის მშობლიურ ქალაქში დაეუფლა ჭიდაობის საიდუმლოებას, ღრმად ჩასწვდა მის თავისებურებას. მეათე კლასის მოსწავლე გახლდათ, როდესაც პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. მანამდე კი მრავალგზის იყო ქალაქისა და რეგიონალური პირველობების გამარჯვებული. ნიკა დიდი მონდომებით სწავლობდა და ითვისებდა ყოველ ფანდს, ყოველ მოძრაობას ხვეწდა, საშური სიმშვიდით ხვდებოდა მოწინააღმდეგეს, სულიერადაც მომზადებული იყო ყოველი იერიშისათვის. ამიტომაც ხშირად იმარჯვებდა. ეტყობა, დიდი იყო მასში ის შინაგანი ძალა, რომელიც ყველას არ ეძლევა და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საქართველოს თავისუფალი სტილის ნაკრებ გუნდში ფალავანმა კარგად იასპარეზა თეირანის საერთაშორისო ტურნირზე და დაიკავა მესამე ადგილი. მსაჯთა არაობიექტურობა რომ არა, ვინ იცის, ნიკა იქნებ ჩემპიონიც გამხდარიყო.

მსოფლიო პირველობაზე მოზარდებს შორის ნიკა ალშიბაია ჩემპიონი ხდება. რამდენი შინაგანი, თუ ფიზიკური ძალების კონცენტრაციაა საჭირო, რამდენი ენერგიის გახარჯვა, რათა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე კაცმა წარმატებებს მიაღწიოს. ნიკას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა.

ამჟამად ნიკა რუსეთშია, კრასნოდარში გადის წვრთნას. მაგრამ ჩვენი ფალავანი იქ დარჩენას არც აპირებს. იგი მხოლოდ რამდენიმე თვით ჩავიდა კრასნოდარში, რათა იქაც მოსინჯოს თავისი ძალები, რაც შეიძლება მეტ შეჯიბრებაზე მიიღოს მონაწილეობა და თავისი ცოდნა და გამოცდილება უფრო გაიღრმავოს.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ნიკამ კრასნოდარშივე რამდენიმე შეჯიბრებაზე მიიღო მონაწილეობა, რუსეთის პირველობებზე გამარჯვებული გამოვიდა, ყუბანის ოლიმპიადაზეც დაიკავა პირველი ადგილი. ამაზე არაერთგზის აღინიშნა თვით რუსულ გაზეთებშიც.


ნიკა ალშიბაია

მართალია, არის მისი გადაბირების მცდელობები, მაგრამ ნიკას საქართველო არ ეთმობა და არც დათმობს, თუკი ოდნავ მაინც შეფასდა მისი ღვაწლი, მისი ამაგი. მით უმეტეს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და თბილისში ყოფნას არაფერი ურჩევნია.

... და მაინც ნიკასთვის საქართველოა ყველაზე მთავარი. საქართველო მისი ოცნებაა, სიხარულია და ერთგული. ისე, კაცმა რომ თქვას, ამ გოლიათ ფალავანს არც ოქრო იზიდავს, არც ვერცხლი, არც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული იტაცებს, მას მხოლოდ თავისი ქვეყნის სახელის გატანა სწყურია უცხოეთში.

მსოფლიოს წინაშე საქართველოს შემოქმედმა, ნიჭიერმა ხალხმა გაუთქვა სახელი, უპირველესად ქართველმა სპორტსმენებმა. ნიკა ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც მხოლოდ ამისთვის იბრძვის, მხოლოდ ამაზე ოცნებობს...

ნიკა ალშიბაია რამდენიმე წელიწადია საქართველოს ნაკრების წევრია (ფალავანთა კლუბში მისი მწვრთნელია კობა ლოჩოშვილი).

როდესაც ნიკა ალშიბაიას ინტერვიუებს ვეცნობით, იქაც ჩანს მისი შორსმჭვრეტელობა, აღლოიანობა, ის, რომ იგი დიდი პოტენციის მქონე სპორტსმენია. მის სიტყვებში ჩანს უშუალობა, ერთგულება თავისი საქმისადმი, დიდი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი, მშობლიური ქალაქისადმი, ქართული მწერლობისადმი... ის სულ მალე დაუბრუნდება თავის სამშობლოს, თავის გულშემატკივრებს, მეგობრებს.

**ლადო ქორია**

# საუნივერსიტეტო სპორტი: რა გვიჭირს, რა გვილხინს?

დღეს, როდესაც ქვეყანა უკიდურესად მძიმე ეკონომიკურ კრიზისშია, შევეგუეთ იმ აზრს, რომ ჩვენს თვალწინ ინგრევა და დაღუპვის პირზეა მრავალი სპორტული ობიექტი და მათ გადარჩენაზე ნაკლებად ვზრუნავთ. საბედნიეროდ, ყველა ასე როდი ფიქრობს; ჩვენ დაგვაინტერესა გაგვეგო თუ როგორ ხვდება ახალ სასწავლო წელს ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:** I კორპუსის ორივე დარბაზში შეკეთდა განათების სისტემა, კეთილმოეწყო საშხაპეები და საპირფარეშო.

მე-2 კორპუსის სპორტულ დარბაზში ნაწილობრივ შეიცვალა იატაკი. მოწესრიგდა სანიტარული კვანძი, მაღლივ კორპუსთან არსებული კრივის და ძალოსნობის სპორტული დარბაზები სრულ წესრიგშია მოყვანილი. დაგეგმილია სპორტული ინვენტარის შეძენა. უნივერსიტეტის გუნდები შეივსო ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენებით. სპეც. მომზადების განყოფილებაში ჩაირიცხა კალათბურთელების, წყალბურთელების, მორაგბეების და ფეხბურთელების ათეულობით სპორტსმენი.

**თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში:** შეკეთდა ჩოგბურთის სამი კორტი და სპორტული თამაშების დარბაზი.

უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ რამაზ ხეცურიანის გადაწყვეტილებით V კურსზე შემოღებულ იქნა სწავლება ფიზიკურ აღზრდაში. ამრიგად, უნივერსიტეტთან არსებულ კოლეჯიდან დაწყებულ აღნიშნულ დისციპლინაში სწავლება ხორციელდება I-II-III-IV და V კურსებზე. ამ დროს ქვეყნის თითქმის უმაღლეს სასწავლებლებში, საერთოდ გაუქმებულია სწავლება ფიზიკურ აღზრდაში ყველა კურსზე.

**საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში:** ჩატარდა სარემონტო სამუშაოები სპორტულ დარბაზებში, შეიღება ფრენბურთისა და კალათბურთის დარბაზების იატაკი. შეძენილია სპორტული ინვენტარი.

**სულხან საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში:** მთლიანად შეიღება კალათბურთისა და ფრენბურთის დარბაზების იატაკი, გამოიცვალა ხელბურთის მოედნის კარები და შეიმოსა ბადეებით.

**დასავლურ ენისა და კულტურის ინსტიტუტში:** დაიწყო ჩოგბურთის კორტების მშენებლობა.

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში:** IX სასწავლო კორპუსთან არსებულ სპორტულ დარბაზში შეკეთდა ტაბლო, ასევე შეკეთდა და შეიღება იატაკი. კეთილმოეწყო სანიტარული კვანძი. უახლოეს ხანში დამთავრდება I სასწავლო კორპუსის სპორტული დარბაზის სახურავის შეკეთება.

**ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში:** შეკეთდა და კეთილმოეწყო სპორტული დ[illegible], შეკეთდა განათების [illegible] ნაწილობრივ შეიღება იატაკი. მადლობა მინდა გადავუხადო ზემოთ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა სტუდენტებისათვის შეექმნათ სწავლისა და წვრთნისათვის ნორმალური პირობები.

**გ. მძელური,**
საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის გენერალური მდივანი

8-10 სექტემბერს ქ. კრასნოდარში ჩატარდა მე-10 სპორტული თამაშები სამხრეთ რუსეთისა და ახლო საზღვარგარეთის ქალაქებს შორის სპორტის 18 სახეობაში.

ქ. თბილისის მერიამ წარგზავნა ბატუტისტთა ნაკრები გუნდი, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებული იყო მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბმს სკოლის აღსაზრდელებით (დირექტორი რ. ბერიკაშვილი). 15-16 წლის გოგონათა შორის პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა 10



წლის ლიუბა გოლოვინამ, რომელსაც წვრთნის ვალერი ჩხაბერიძე. იგივე პროგრამაში III ადგილი თბილისელ ელა აირაპეტოვას ხვდა. ასევე III ადგილი დაიკავა ელა აირაპეტოვა – ვერიკო ბეგლარაშვილის სინქრონულმა წყვილმა.

ხოლო ოლეგ კოლესოვ-გოგოლაძე მეორე იყო ვაჟთა შორის.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტებს ლუბა გოლოვინა მიაჩნდათ რუსუდან ხოფერიას მემკვიდრედ.

ეს ბატუტისთვის გაჩენილი ნიჭიერი გოგონა მაღალი კლასითა და გრაციით გამოირჩევა.

*სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: ვერიკო ბეგლარაშვილი, ლიუბა გოლოვინა, ელა აირაპეტოვა.*

## ოლიმპიური თამაშების ეგიდით

ამ დღეებში ქალაქ ქუთაისის სამხარეო ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით (თავმჯდომარე რეზო რობაქიძე), თერჯოლაში მოეწყო საკროსო გარბენი, მიძღვნილი ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისადმი.

შეჯიბრება ჩატარდა ორ ასაკობრივ ჯგუფს შორის — 1983-86 წელს დაბადებულ მოსწავლეებსა (2000 მეტრზე) და 1988-90 წელს დაბადებულთა შორის (1500 მეტრზე).

შეჯიბრებაში 50-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა. მოზარდებში პირველ ადგილზე გავიდა თერჯოლის სპორტსკოლის მოსწავლე ზაზა სახელაშვილი, მეორე ადგილი დაისაკუთრა გიგა სულამანიძემ, მესამე იყო დიმიტრი ფირჩხიძე, ყველა — თერჯოლიდან.

უმცროს ასაკში პირველი ადგილი დაიკავა ჩხარელმა მოსწავლემ ანტონ ჩარექიშვილმა, მეორე და მესამე ადგილზე ისევ ჩხარელები ლაშა აბულაძე და ნოდარ ივანიშვილი გავიდნენ.

ამ შეჯიბრებაზე დაწესებული იყო ყველაზე ხანდაზმული მორბენლის პრიზი, რომელიც გადაეცა მალხაზ თურქაძეს. ყველაზე უმცროსი მონაწილის პრიზი კი გიორგი არაბიძემ დაისაკუთრა.

ქუთაისის სამხარეო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ყველა საპრიზო ადგილზე გასულ მოსწავლეებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

შეჯიბრების საერთო ხელმძღვანელობა გასწია თერჯოლის სპორტსკოლის დირექტორმა ლევან ქავთარაძემ, შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო კოტე ჩარექიშვილი.

კროსს ბევრი მაყურებელი დაესწრო.

**ჟანრი შარიძაძე,**
თერჯოლა

## ქართული ჩოგბურთის მატიანე

# რენა აბჟანდაძე

**შესრულდა 60 წელი ქართველი ჩოგბურთელის რენა აბჟანდაძის (1940-1995) დაბადებიდან. მან შეძლო შორეულ 50-60-იან წლებში თავის კოლეგებთან ირინა ერმოლოვასთან, ალა ივანოვასთან და ნინო თუხარელთან ერთად, ქართული ქალთა ჩოგბურთი აეყვანა ახალ თვისობრივ დონეზე, მიაღწია წარმატებებს სხვადასხვა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში.**

**ამ წერილში შევეცადე თვალი გადამევლო ამ ნიჭიერი სპორტსმენის და პედაგოგის მიერ განვლილი გზისთვის და ერთხელ კიდევ შემეხსენებინა მკითხველისათვის ქართული ჩოგბურთის შესანიშნავი ტრადიციები.**

1949 წელს საქართველო სპორტულ ცხოვრებაში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც შემდგომში განსაზღვრა ახალი ეტაპი ქართული ჩოგბურთის განვითარებაში. იმ წელს განახლებულ „დინამოს“ ჩოგბურთის სტადიონზე, პირველად საქართველოში, ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა. უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად ახსოვთ ჩვენმა თანამემამულემ დაუვიწყარმა ედუარდ ნეგრებეცკიმ (1908-1985) თუ როგორ მოუგო ახალგაზრდა ნიკოლაი ოზეროვს (1922-1997).

„დინამოს“ ჩოგბურთის სტადიონის გახსნამდე, თბილისის და, საერთოდ, საქართველოს ჩოგბურთის ცენტრები იყო კორტები პლეხანოვის პროსპექტზე (№117) და მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე მოედნები. მართალია, „დინამოს“ ჩოგბურთსაც ჰქონდა გარკვეული ტრადიციები. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე კორტებზე ფუნქციონირებდა ჩოგბურთის სექცია. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩადგა მწყობრში ჩოგბურთის სტადიონი, რომელზეც 9 კორტი იყო, „დინამოს“ ჩოგბურთს გაეხსნა მეორე სუნთქვა.

გამოჩენილი პედაგოგების არამ ხანგულიანის (1901-1974) და ევგენია ვერმიშევას (1901-1988) ხელმძღვანელობით „დინამოს“ კორტებზე გაჩაღდა მუშაობა.

პირადად მე ჩოგბურთის თამაში დავიწყე 1951 წელს და მაშინვე გამიკვირდა, რომ ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ როგორც ჩემი თანატოლები, ისე გამოცდილი ჩოგბურთელები. როგორც მახსოვს, მაშინ სექციაში პრაქტიკულად იღებდნენ ყველას 9-10 წლიდან 20 წლამდე, ასაკის მიუხედავად. და ერთ მშვენიერ დღეს „დინამოს“ კორტებზე გამოჩნდა მაღალი, ტანადი გოგონა, რომელმაც წამსვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. ეს იყო რენა აბჟანდაძე.

გამოცდილმა მწვრთნელმა და პედაგოგმა ა. ხანგულიანმა შეამჩნია მასში ჩოგბურთის ნიჭი და არც შემცდარა.

რენას მთელმა სპორტულმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა და ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის მისი ნიჭის გახსნაში ჩემ კოლეგებს — კლავდია მინაევას, ძმებს ლეონარდ და ნუგზარ მძინარიშვილებს, ძმებს პეტრე და ალექსანდრე მეტრეველებს, გრანტ მუსაელიანს, გივი ახალაძეს, გივი ჩახუნაშვილს, თენგიზ კერესელიძეს, გივი ლუკაშვილს და ბევრ სხვას.

უკვე 1955 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე გოგონათა შორის, რ. აბჟანდაძე 8 უძლიერესთა შორის იმკვიდრებს ადგილს. მომდევნო წელს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ის წარმატებით თამაშობს საბჭოთა კა-


*რენა აბჟანდაძე*

ვშიროის ხალხთა სპარტაკიადაზე, თბილისისა და დინამოს გუნდების შემადგენლობაში ზამთრის და ზაფხულის ჩემპიონატებზე ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის.

მიუხედავად რთული საწვრთნელო პირობებისა (მაშინ თბილისში არ არსებობდა დახურული კორტები), რენას ოსტატობა სწრაფად იზრდებოდა. უკვე 1958 წელს საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ის მხოლოდ ფინალში აგებს შესანიშნავ ანა დმიტრიევასთან. მალე რ. აბჟანდაძეს ანიჭებენ სპორტის ოსტატის წოდებას და პრაქტიკულად შეუცვლელად 1961-1968 წლებში შედის საბჭოთა კავშირის 10 უძლიერეს ჩოგბურთელთა შემადგენლობაში.

რენა აბჟანდაძის მთავარი სპორტული წარმატებები მოდის 60-იან წლებზე. ის რამდენიმეჯერ ხდება საქართველოს, ჩემპიონი, 1966 წელს თამაშობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში, 1967 წელს იმარჯვებს საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირში, წარმატებით მონაწილეობს საერთაშორისო ტურნირებში უნგრეთში, ინდოეთში, მოსკოვსა და თბილისში.

სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ რენა აბჟანდაძე იწყებს მწვრთნელად მუშაობას. წლების მანძილზე მან აღზარდა არაერთი ჩოგბურთელი, რომლებიც აგრძელებდნენ საქართველოს ჩოგბურთის საუკეთესო ტრადიციებს. საუკეთესონი მათ შორის არიან ვიქტორ ხურდა, ეკა ბოკუჩავა, ირინა გერაძე, დავით გოგილაშვილი და, რა თქმა უნდა, ირაკლი ლაბაძე, რომელიც გავიდა ფართო საერთაშორისო არენაზე.

ორი შვილის დედა, ის ყოველთვის ასწრებდა თავისი რთული ოჯახური ვალდებულებების შესრულებას და არასოდეს ივიწყებდა თავის მეგობრებს, რომლებთანაც ერთად გაიარა რთული ცხოვრებისეული გზა. უკანასკნელად რენას მისი გარდაცვალების წინა დღეს შევხვდი. მას კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა, მაგრამ გამონახა ძალა, რომ ჩემთან ერთად ემსჯელა ახლადდამთავრებული უიმბლდონის ტურნირის შედეგებზე და მისი საყვარელი მოწაფის ირაკლი ლაბაძის პერსპექტივებზე.

ჩოგბურთელთა 80-90-იანი წლების ახალგაზრდა თაობას, სამწუხაროდ, არ უნახავს ამ გამოჩენილი ჩოგბურთელის თამაში. მაგრამ მან უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენდა კორტზე რენა აბჟანდაძე.

რენა კონტრშეტევითი მოთამაშეების რიცხვს მიეკუთვნებოდა. მისი თამაში ბაზირებული იყო ძლიერი თამაშით უკანა ხაზზე. სიტუაციიდან გამომდინარე ის დაუყოვნებლივ გადიოდა ბადესთან. ფეხების მუშაობა და მისი ფიზიკური მომზადება შეესაბამებოდა უმაღლეს სტანდარტებს, ხოლო არაჩვეულებრივი ნებისყოფა და მორალური სიმტკიცე ეხმარებოდა მას რთული ვითარებიდან გამოსვლაში.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რენა აბჟანდაძე — მისი თამაში, პედაგოგიური ნიჭი და მისი ყველაზე მთავარი ღირსება — იმ ხალხისადმი თანადგომა, რომლებიც საჭიროებდნენ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში დახმარებას და მხარდაჭერას.

**ვლადიმერ გოგლიძე,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ჩაატარებს მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებს, რომელიც მიეძღვნება „მსოფლიო გულის დღე-2000“-ს, წარიმართება დევიზით „მე მიყვარს ჩემი გული, დაე იძგეროს მან“.

ღონისძიება ჩატარდება 24 სექტემბერს 11 საათზე.

საორგანიზაციო კომიტეტი

## მსოფლიო „გულის“ დღისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენის სქემა

ქ. თბილისი

24 სექტემბერი 2000 წ.




ღონისძიების დასაწყისი 11.00 სთ-ზე
ტრასის სიგრძე 4.680 მეტრი

## მსოფლიო „გულის“ დღისადმი მიძღვნილი ველო კრიტერიუმი

ქ. თბილისი

24 სექტემბერი 2000 წ.




ღონისძიების დასაწყისი 12.00 სთ-ზე



# ეთამაშება ვენუს უილიამსი ვაჟებს?

დონალდ ტრამპი 1 მილიონ დოლარს ჰპირდება იმ ჩოგბურთელს, რომელიც „სქესთა ბრძოლას“ მოიგებს. ჩოგბურთელთა ამ მატჩში, მისი აზრით, მონაწილეობა უნდა მიიღონ ჯონ მაკინროუმ, რომელიც ბევრს თამაშობს ვეტერანთა შორის და ვენუს უილიამსმა.

ადრე მაკინროუმ განაცხადა, რომ ქალი, როგორი სიძლიერისაც არ უნდა იყოს, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოუგებს ვაჟს. ახლა ვენუს უილიამსი დაინტერესდა დონალდ ტრამპის წინადადებით. მან თქვა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მზად იქნება იმისთვის, რომ ვაჟებთან ერთად ითამაშოს შეჯიბრებებში. ამასთან, ვენუსი გულისხმობს არა, ასე ვთქვათ, რიგით ტურნირებს, არამედ ისეთებსაც კი, რომლებიც „დიდი მუზარადის“ სერიაში შედის.

რაც შეეხება უშუალოდ ჯონ მაკინროუსა და ვენუს უილიამსის შეხვედრას, ამაზე მოლაპარაკება მოგვიანებით შედგება.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 სექტემბერი, პარასკევი**
*საქართველოს ტელევიზია. კავკასია.* „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), *PTP.* XXVII ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა (21.50), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ჰამბურგი“ (გერმანია) – „იუვენტუსი“ (იტალია) – 13.50, ბრაზილიის ჩემპიონატი: „პალმეირასი“ – „სან პაულუ (16.40), შოტლანდიის ჩემპიონატი: „დანდი“ – „გლაზგო რეინჯერსი“ (18.25), ევროპის ფეხბურთი (20.25), შოტლანდიის ჩემპიონატი: „სელტიკი“ – „ჰიბერნიენი“ (21.15), გერმანიის ჩემპიონატი (23.10), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (1.25). *ESPN.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.30, 13.30, 0.30).

**16 სექტემბერი, შაბათი**
*საქართველოს ტელევიზია, რუსთავი-2.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა. (19.10), *კავკასია.* „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00). *НТВ плюс футбол.* გერმანიის ჩემპიონატი (18.25), ინგლისის – 22.05, ბრაზილიის – „ატლეტიკო“ – „კორინტიანსი (22.05). *ESPN.* ცხენოსნობა დაიჯესტი (9.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.30), ინგლისის პრემიერლიგა, პირდაპირი ტრანსლაცია (18.30; 20.30).

**17 სექტემბერი, კვირა**
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* მუნდიალი (18.45), *რუსთავი-2.* სპორტული პროგრამა (19.35), *კავკასია.* „მსოფლიო სპორტი“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), *НТВ плюс футбол.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.15), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.05), ინგლისის ჩემპიონატი: „მანჩესტერ სიტი“ – „მიდლსბრო“ (19.55), ესპანეთის ჩემპიონატი (22.25), საფრანგეთის ჩემპიონატი (0.35). *ESPN.* ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (3.30), ინგლისის პრემიერლიგა (7.00, 19.30 – „მიდლსბრო“ – „მანჩესტერ სიტი“, პირდაპირი ტრანსლაცია (19.30).

## კროსვორდი №72 — შერეული



**თარაზულად:** 2. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 3. ცნობილი უნგრელი ვეტერანი ფეხბურთელი, ფორვარდი, 5. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი, 6. ცნობილი ქართველი ვეტერანი ფრენბურთელი, ოლიმპიური პრიზიორი, 8. ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია, 11. წყლის სადენი საგანგებო თხრილი, 12. უკრაინის საფეხბურთო კლუბი, 13. ფირნიში, 15. საერთაშორისო საკალათბურთო ორგანიზაცია, 16. ცნობილი მექსიკელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 17. სიდნეიში, ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი მოჭიდავე, 18. მიმართულება, ადგილმდებარეობა, 19. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 21. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მეკარე, 22. ფიფას პრეზიდენტი, 25. ცნობილი იაპონელი ვეტერანი ტანმოვარჯიშე, 26. ბილიარდის სათამაშო ჯოხი, 27. ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაში, 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 31. ცნობილი ქართველი ტყვიის მსროლელი ქალი, 32. მდინარე საქართველოში, 33. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქვეყანა, 34. იგივეა, რაც პირი.

**შვეულად:** 1. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 3. პოლონელი კინომსახიობი ქალის ტიშკევიჩის სახელი, 4. მძლეოსნობის სახეობა, 7. თვითმფრინავების საყუდელი, 9. ცნობილი ქართველი ვეტერანი მოჭიდავე, 10. მსოფლიოს არაერთგზის ქართველი ჩემპიონი ბ/რ ჭიდაობაში, 11. ქართველი ძალოსანი, სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მონაწილე, 14. ცნობილი უნგრელი მწვრთნელი ფეხბურთში, 16. ბათუმის საფეხბურთო კლუბის ფორვარდი, 20. ცნობილი ვეტერანი სომეხი ფეხბურთელი, 23. ცნობილი ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 24, ცნობილი ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი, 25. მძლეოსნობის სახეობა, 26. წელზე მოსაკერი სარტყელი, 28. დასავლეთის კინოს ვარსკვლავი, 30. ფიდეს ყოფილი პრეზიდენტი, 32. ცნობილი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №71-ის პასუხები:

**თარაზულად:** 3. კეტაშვილი, 5. ოკაზო, 8. ლონდონი, 9. ოდა, 10. ოუტი, 12. ალი, 13. რიუსკა, 14. 1928 წ. 15. დრიუ, 17. ტეილორი, 19. 1900 წ. 20. რურუა, 21. შევცოვა, 22. გიორგაძე, 27. ალექსეევი, 29. რუსიძე, 30. ჩიმიშკიანი. **შვეულად:** 1. ბიმონი, 2. ჩოჩიშვილი, 4. ტალსტი, 6. ნადი, 7. შოლანდერი, 11. კალიტა, 16. იარვინენი, 18. ოჩოა, 23. რასელი, 24. ნომურა, 25. მაიერი, 26. რიოში, 27. აიკი, 28. ენეი.

მთავარი რედაქტორის მაგიერ ჯემალ ჭიკაშვილი

## ჩოგბურთი

# მარტინას ახალი ხელის მთხოვნელი ჰყავს

ამერიკის ღია პირველობის მონაწილეთაგან სამ წყვილს ნაზი გრძნობებიც აკავშირებს ერთმანეთთან. ესენია: ამერიკელი ჯენიფერდ კაპრიატი და ბელგიელი კსავე მალისი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიიდან მარტინა ჰინგისი და შვედი მაგნუს ნორმანი, აგრეთვე ავსტრალიელი ლეიგონ ჰიუტი და ბელგიელი კიმ კლისტერსი. მათგან რომანების სიმრავლით ჰინგისი გამოირჩევა, რომლისთვისაც მ. ნორმანი მეოთხეა. მანამდე მარტინა მეგობრობდა ესპანელ ხულიან ალონსოსთან, ამერიკელ ჯანსტინგ ჰიმელსტობთან და თანამემამულე ივო ჰოიბერგერთან.

# იქნება კიდევ ერთი უილიამსი

US OPEN-2000-ზე სპეციალისტების ყურადღება მიიქცია 14 წლის ნორჩმა ამერიკელმა გოგონამ ჯაიმი ჯეკსონმა, ტოლი არ დაუდო გამოცდილ მეტოქეებს, რომელთა უმრავლესობა მასზე ოთხი წლით უფროსი იყო და მესამე წრემდე ისე მივიდა, ერთი სეტიც არ წაუგია. გზად არც მე-3 ნომრად განთესილ რუმინელ იოლან გასპარს და თანამემამულე ტერნერ კოჩარს დაუდო ტოლი. ამერიკელი სპეციალისტები ფიქრობენ, რომ გოგონას ტალანტი არაფრით ჩამოუვარდება დებ უილიამსების ნიჭიერებას.

## ჭადრაკი

# ვეტერან ჩემპიონთა ტურნირი

მოსკოვში, ჭადრაკის ცენტრალურ სახლში ჩატარდა საკმაოდ ორიგინალური საერთაშორისო ტურნირი. მასში მონაწილეობდნენ ვეტერანი მოჭადრაკეები, რომლებიც სხვადასხვა დროს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების, ან მოსკოვისა და ლენინგრადის ჩემპიონები იყვნენ. იგი წრიული სისტემით გაიმართა, სპონსორების როლში კი გამოვიდნენ რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია, მიხეილ ბოტვინიკის ფონდი და სხვები.

8 შესაძლებლიდან 5,5 ქულით პირველ ადგილზე გავიდა 75 წლის დიდოსტატი რატმირ ხოლმოვი, რომელიც სხვადასხვა დროს ლიტვის, რუსეთისა და მოსკოვის ჩემპიონი იყო. 5 ქულით მეორე ადგილზეა ოსტატი ვლადიმირ გოლდინი (სომხეთის ჩემპიონი). 4,5-4,5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს დიდოსტატმა იგორ ზაიცევმა (მოსკოვის ჩემპიონი), საერთაშორისო ოსტატმა ანატოლი კრემენეცკიმ (მოსკოვის ჩემპიონი) და ოსტატმა ნიკოლაი მიასნიკოვმა (სომხეთის ჩემპიონი).

მომდევნო ადგილებზე არიან საერთაშორისო ოსტატი ვიაჩესლავ ოსნოსი (ლენინგრადის ჩემპიონი) — 4 ქულა, დიდოსტატი ალექსეი სუეტინი (ბელორუსიის ჩემპიონი) — 3,5, 78 წლის ოსტატი იური გუსევი (რუსეთის პირველი ჩემპიონი ვეტერანთა შორის) — 3 და ოსტატი რობერტ სეოევი (თურქმენეთის ჩემპიონი) — 1,5 ქულა.

### საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მa5!
1. ...მფ:d6 2. ეb7 მფd5X. 3. ეd7X
1. ...მფ:d4 2. ეb3 მფd5. 3. ეd3X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ღელის“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი.